

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეველინა თარაშვილი

**ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო  
პროზა გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი  
ქალაქის“ მიხედვით**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ქართული  
ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

გორი 2019

## ანოტაცია

ნაშრომში, „ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა გიორგი სოსიაშვილის ვერცხლის ყვავილებისა და თეთრი ქალაქის მიხედვით“, განხილულია ქართველი მწერლის, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების განსხვავებული მხარე, დოკუმენტური სამოგზაურო პროზა, რომელიც აქამდე არ ყოფილა კომპლექსური კვლევის საგანი (რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ არსებულ რამდენიმე რეცენზიას), გარდა ამისა, აღნიშნული ლიტერატურული ჟანრი არათუ ორიგინალური მახასიათებლებით, ტრადიციული გაგებითაც არცთუ დიდი მოცულობით გვხვდება ქართულ ლიტერატურაში. ამდენად, ორი რამ არის მნიშვნელოვანი ჩვენი კვლევისათვის, საინტერესო თანამედროვე მწერლის შემოქმედების ერთიანი სურათის შევსება აუცილებელი კომპონენტით და სათანადო ანალიზი, ამავედროულად კი გარკვეულწილად მივიწყებული ლიტერატურული ჟანრის წინა პლანზე წამოწევა თანამედროვე კონტექსტში.

ლიტერატურა იმდენად ცოდნის საფუძველზე არ იქმნება, რამდენადაც სულიერი გამოცდილების საფუძველზე. ნაშრომში კვლევა ეფუძნება ნოველებში ასახულ მოგზაურობის ისტორიას, მწერლის თავგადასავალს, სულიერი განცდების გაანალიზებას, რაც მწერლისთვის დამახასიათებელი მხატვრული ენის თანხლებით აბსულუტურად განსხვავებულ ლიტერატურულ სამყაროდ წარმოდგინდება მკითხველის წინაშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხი შესასწავლად არის სრულიად ახალი ფურცელი, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების მიმართ მკვლევართა დაინტერესება საკმაოდ გამოიკვეთა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენს მიერ კვლევისათვის შერჩეული საკითხი საინტერესო და აქტუალურია, როგორც ერთი მწერლის შემოქმედების კვლევის თვალსაზრისით, ისე ზოგადად, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების ანალიზის კონტექსტში.

**By Evelina Tarashvili**

## **Annotation**

A Set Of Short Stories As A Modern Documentary Travelling Prose According To  
"Silver Flowers" And "The White City" by Giorgi Sesiashvili"

The work " A Set Of Short Stories As A Modern Documentary Travelling Prose +According To "Silver Flowers" And "The White City" by Giorgi Sesiashvili deals with the different aspects of the modern day writer Giorgi Sesiashvili's works and documentary traveling prose which have not been a subject of complex study yet (of course, a few existing reviews are considered). In addition, the above literary genre neither with its original characteristics nor with the traditional concept exists in the Georgian literature in not very large amount. Thus, two things are important for our study - to fill the image of the interesting modern day writer's works with all necessary components and to give proper analysis and at the same time to promote somehow forgotten literary genre in the modern context.

Literature is not created solely on the basis of knowledge but more often on the basis of spiritual experience. In the works the study is based on the story of travels depicted in the short stories, the writer's adventures, and the analysis of spiritual feelings which will be presented to the reader in the absolutely different literary world with the accompaniment of the artistic characteristic of the writer.

Judging from the above, we consider that this question is a new page in the study in spite of the fact that researchers interest to Giorgi Sesiashvili's works has been increasing for the last few years. It should be also noted that the question chosen for our study is both interesting and actual as in the context of the analysis of one writer's creativity as well as the analysis of processes in modern Georgian literature.

Translated by: D.Berianidze, freelance translator, a teacher of English at Ltd B. Niparishvili Kaspi M/Profiled School-Gymnazium

## სარჩევი

1. შესავალი -----	5
2. თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან -----	9
3. თავი II. დოკუმენტური სამოგზაურო ჟანრის საწყისები და გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი ქალაქის“ მიმართება ჟანრის ტრადიციებთან -----	17
4. თავი III. ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა „ვერცხლის ყვავილების“ მიხედვით -----	25
5. თავი IV. ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა „თეთრი ქალაქის“ მიხედვით -----	35
6. დასკვნა -----	43
7. გამოყენებული ლიტერატურა -----	46

## შესავალი

თნამედროვე ლიტერატურა განვითარების მიმდინარე საფეხურზე, იმდენად ქაოტურად ვითარდება რომ ხშირად ვერც კი ესწრება ავტორისა და მკითხველის, შესაბამისად, ავტორისა და მკვლევრის დროული გადაკვეთა. იწერება უამრავი რამ და პრობლემას წარმოადგენს ზღვა მასალისგან ფასეულის გამონაპირების საკითხი, რაშიც უმთვრესი როლი რა თქმა უნდა ლიტერატურის კრიტიკას აკისრია. არ ვიქნებით ჭეშმარიტებისგან ძალიან დაშორებულნი, თუ ვიტყვით რომ თნამედროვე ლიტერატურა საკმაოდ არის მოკლებული მკვლევართა ყურადღებას, რაც თავისთავად, ასევე გასაგები და ახსნადი მოვლენაა ჩვენთვის. ის რომ გასხნილია სივრცე, არ არსებობს არავითარი დაბრკოლება და ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა საჯარო სივრცეში გამოიტანოს საკუთარი შემოქმედება - რიგიანი თუ ურიგო, ბუნებრივია, ძალზედ ართულებს მკვლევართა საქმეს; რამდენადაც, ხშირად, პირდაპირი ასოციაციით თივის ზვინში ნემსის ძებნა უწევთ მათ, რაც ბუნებრივია, ბევრ ფუჭად დაკარგულ დროსაც გულისხმობს. ამდენად, საფუძველს მოკლებული არ არის, რომ მკვლევართა ინტერესი, მით უფრო საკვლევი თემატიკის ძიება სოლიდურად არის გადახრილი უკვე აღიარებულ მწერალთა შემოქმედების მხარეს. ამ შემთხვევაში ჩვენ ერთგვარი შუალედური და ჩვენთვის ფრიად ხელსაყრელი სიტუაცია გვაქვს კვლევის თვალსაზრისით, რამდენადაც, მწერალი რომელიც ჩვენი კვლევისთვის შევარჩიეთ, არის თანამედროვეც, მიმდინარე სალიტერატურო პროცესის აქტიური მონაწილეც, შემოქმედებითად უფრო შთამბეჭდავიც - ვიდრე მისი საყოველთაო ცნობადობა და ამავდროულად გარკვეულწილად აღიარებულებიც ლიტერატურულ წრეებში. როგორც ერთ-ერთ მის ნარკვევში გიორგი ხორბალაძე აფასებს, გიორგი სოსიაშვილი ის მწერალია, რომელმაც „იგრძნო ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული“ (ხორბალაძე, 2018: 119). გიორგი ხორბალაძისვე თქმით, გიორგი სოსიაშვილი თავის ნაწარმოებებში ყოველთვის ობიექტურია და მას კარგად ესმის, რომ მწერალი ობიექტურობას უნდა ინარჩუნებდეს. ამდენად, მის მიერ აღწერილი სიუჟეტის ძირითადი ნაწილი რეალურ საწყისებზეა დაფუძნებული, რაც მის მხატვრულ შემოქმედებას, ისედაც ყოველთვის ახლოს ამყოფებდა დოკუმენტურ პროზასთან“. შესაძლოა რეალისტური სიუჟეტების ასახვისკენ სწრაფვა მწერლისა და ის გარემოება რომ იგი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორიც

გახლავთ შეიქმნა სწორედ იმის წინაპირობა, რომ მწერალს მკვეთრი გადახვევა მოეხდინა დოკუმენტური პროზის მიმართულებით, კერძოდ კი სამოგზაურო-მემუარული ჟანრისაკენ და ეს ყოველივე სწორედ ისტორიული ჭრილიდან დაენახა თავადაც და დაენახებინა მკითხველისთვისაც. მისი ყველა პერსონაჟი, უფრო ადრეულ მოთხრობებსა და ნოველებშიც, ომის საშინელებით გამოწვეული ტკივილის მიუხედავად, თითქოს ოპტიმისტია, მათ სწამთ, რომ დადგება დრო, როცა საკუთარ მიწასა და სახლს დაუბრუნდებიან. მწერალიც იმედს არ კარგავს, გიორგი ხორბალაძის შეფასებითვე, ამის დასტურია მწერლის ერთი ალეგორიული მხატვრული სახე „ალადასტურით სავსე ჭიქაში მზის სხივი გაძვრა“ და მავთულხლართით გაყოფილ საქართველს, ორივე მხარეს ნათელი მოეფინა. მართალია, ჩვენი კვლევებისთვის ამჟამად სულ სხვა წიგნები გვაქვს შერჩეული და არა ნაწარმოები რომლიდანაც ზემოთ დამოწმებული ციტატა მოვიტანეთ, თუმცა საინტერესო ის გახლავთ რომ, მწერლისათვის იმედიანი განწყობა, რომლის საფუძველზეც მას საკუთარი ქვეყნის ნათელი მერმისის სწამს, ვფიქრობთ გარდამტეხი იყო, იმ ორი წიგნის შექმნისას რომლებსაც ჩვენი კვლევა შეეხება („ვერცხლის ყვავილები“ და „თეთრი ქალაქი“). ვეცდებით განვმარტოთ, ორი სამოგზაურო პროზის ნიმუშიდან პირველი გახლავთ, „ვერცხლის ყვავილები“, რომელიც ფერეიდანში ავტორის მოგზაურობას აღწერს და იმ ემოციას, რაც იქაური ქართველების ხილვამ მას მიანიჭა; ჩანს რომ მათთან კომუნიკაციამ მწერალს კიდევ უფრო გაუმყარა იმედი და თვითრწმენა, როგორც ქართველს და დაანახვა, რომ თუკი საუკუნეების განმავლობაში, ასე შორს გადასახლებული, ყველანაირად იზოლიაციაში მოქცეული ქართული სული ვერ აღმოფხვრეს, მაშინ ჩვენს ქვეყანას როგორ მოერევიან რაც არ უნდა რთული ჟამი გვედგას, ამ ფიქრმა მისცა მას შინაგანი მუხტი და ეს სულიერი ამაღლებული განწყობა შეიქმნა სწორედ მთავარ ინსპირაციის წყაროდ, რის შედეგადაც ემოციები წიგნად გარდაისახა, თავისთავად ეს გამოცდილება კი უკვე დაედო სათავედ, მეორე სამოგზაურო წიგნს „თეთრი ქალაქი“, ბუნებრივია ამ მოსაზრებებს გამოვთქვამთ წიგნების ზოგადი პათოსის გათვალისწინებით და მსგავსი მოსაზრების გამოსათქმელად ხელჩასაჭიდიც არაერთი გვაქვს, თუმცა წიგნების შესახებ დეტალურად, უკვე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

მიუხედავად იმისა, რომ, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში დიდი ხვედრითი წილი მოდის ომის თემატიკაზე, თანამედროვე თუ წინა საუკუნეების ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე შექმნილ ნაწარმოებებზე, რამაც ისიც განაპირობა, რომ, მისი შემოქმედების შესახებ შექმნილი ნარკვევები ამა თუ იმ მკვლევრის მიერ, ასევე ძირითადად სწორად ამ თემის შესახებ არსებულ მოთხრობებს ეხმიანება, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესოა და ფასეული ყველა კვლევა, თუმცა, ამავდროულად, ვფიქრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მისი შემოქმედება მხოლოდ ამ თემატიკით არ ამოიწურება და მწერალი ამასთანავე, მკითხველს სრულიად განსხვავებული ჟანრისა და თემატიკის ნაწარმოებებსაც სთავაზობს, რომელიც თითქოს დაჩრდილა ძირითადად, დომინანტმა თემატიკამ; ამდენად, ჩვენი სურვილია ამ კვლევის ფარგლებში შევისწავლოთ მწერალ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების განსხვავებული მხარე და შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ მსგავსი ცალსახოვანი მიმართება მწერლის მრავალპლანიანი შემოქმედებისადმი. ამ ეტაპზე, როგორც აღვნიშნეთ, ამ მიზნით შევარჩიეთ მისი ორი ნაწარმოები „ვერცხლის ყვავილები“ და „თეთრი ქალაქი“, რომელიც, ჩვენ დოკუმენტური სამოგზაურო პროზის ფოლმულირებით მოვიაზრეთ და ვფიქრობთ, ამ კონტექსტში განსახილველად საუკეთესო ნუმუშებს წარმოადგენენ. ამასთანავე ჩვენთვის საინტერესოა, მსგავსი ჟანრისთვის განკუთვნილი თხრობის განსხვავებული მანერა, რომელიც ნოველისტიკისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი ლაბორატორიის კომპონენტებით საზრდოობს და ამ ქარგაში მოაქცევს მწერლისთვის ახალ, ერთგვარად ექსპერიმენტულ ჟანრსაც. საინტერესოა, რომ ორივე წიგნში ქვეთვები წარმოადგენენ ერთგვარად დასრულებულ ნოველებს და ამავდროულად არიან ნაწილი სხვა დანარჩენი ქვეთავებისა რომელთა ერთიანობაც სრულყოფილად ასახავს მოგზაურობის ისტორიასა, მწერლის თავგადასავალს, სულიერ განცდებს და საბოლოოდ, ერთი მოგზაურობის სრულყოფილ სურათს. ამასთანავე, ჩვენი ყურადღება მიიქცია, წერის სტილის იმ კომპონენტმაც, რომ ამბავი მუდმივად მონაცვლეობს რეალურ და მხატვრულ, თანამედროვე და ისტორიულ განზომილებებს შორის, ეს გარდამავლობა ხორციელდება, როგორც ქვეთავიდან ქვეთავში, ისე ერთი კონკრეტული ქვეთავის ანუ, კონკრეტული ნოველების წიაღშიც, რაც მწერლის

დამახასიათებელი მხატვრული ენის ფონზე აბსოლუტურად განსხვავებულ ლიტერატურულ სამყაროდ წარმოდგება მკითხველის წინაშე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია რომ საკითხი შესასწავლად არის სრულიად ახალი ფურცელი და ამდენად, საინტერესო და აქტუალური. კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ლიტერატურული პროცესი სათანადოდ არ არის გადაფასებული, რაც ხშირად იწვევს არასწორი ორიენტირების დასმას, რეალურ ფასეულობათა აცდენას და შესაბამისად ფსევდოლიტერატურის მომძლავრებას, რისი დაბალანსებისა და გამოსწორების ერთადერთ საშუალებადაც, სწორედ, თანამედროვე ლიტერატურის აქტუალური პრობლემების კვლევა და მკვლევართა მხრიდან, მისი საინტერესო საკითხების აქცენტირება მიგვაჩნია. ამიტომ ჩვენი დაინტერესება გულისხმობს გულწრფელ წუხილსაც და შესაბამისად შევეცადეთ მაქსიმალური პასუხისმგებლობით შეგვეჩია სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი, რომელიც საბოლოოდ ასე ფორმულირდა „ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა, გიორგი სოსიაშვილის ვერცხლის ყვავილებისა და თეთრი ქალაქის მიხედვით“

ამდენად, ჩვენი კვლევა საინტერესოა რამდენიმე მნიშვნელობით: დოკუმენტური სათავგადასავლო-სამოგზაურო ჟანრის პროზის თანამედროვე განვითარების კონტექსტში, ერთი მწერლის შემოქმედების სრულყოფილი და კომპლექსური შესწავლის საკითხისთვის და ზოგადად თანამედროვე ლიტერატურული პროცესის კვლევის თვალსაზრისით.

## თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან

ჩვენი სამაგისტრო კვლევის საგანს წარმოადგენს გიორგი სოსიაშვილის სათავგადასავლო-სამოგზაურო ჟანრის პროზა, რომელსაც ავტორი ერთგვარი ნოველების სახით გვთავაზობს. თუმცა, ვიდრე უშუალოდ საკითხის დეტალებზე გადავინაცვლებდეთ საინტერესოა გავარკვიოთ, რა ლიტერატურული გამოცდილება უდევს წინ აღნიშნულ ჟანრს და შესაბამისად, როგორია საკითხის კვლევის მიმართულებით ზოგადი სურათი. უნდა აღინიშნოს, რომ ამდაგვარი, სამოგზაურო, მემუარულ-დღიურული ხასიათის დოკუმენტური პროზა, შედარებით ნაკლებად იქმნება და იქმნებოდა ქართულ ლიტერატურაში, რა თქმა უნდა ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ მაღალი ღირებულების ნაწარმოებებს, რომლებსაც გააჩნიათ გარკვეული მნიშვნელობა და აქვთ საკუთარი დანიშნულება, მათივე ფომრის ან შინაარსის გათვალისწინებით. იმდენად რამდენადაც, თავად ჟანრი (სხვა ჟანრებთან მიმართებით) ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მისი კვლევის ისტორიაც ვერ იქნება შთამბეჭდავი; აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, სრული ზოგადი სურათის აღსაქმელად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რამდენიმე სახელმძღვანელოს გაცნობა, მათ შორის: ენციკლოპედიური ცნობარი - ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევრები; ანთოლოგია - მეცხტამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები; ასევე ნარკვევები: კ.ხარაძის „XVII-XVIII საუკუნის ქართველი მოგზაურები“; გ. ზარდალიშვილის „გამოჩენილი ქართველი მოგზაურები“, ასევე განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ჩვენი კვლევისათვის, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის - ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, კრებულის მეორე ნაწილში გამოქვეყნებული დარეჯან მენაბდეს კვლევა :ქართული სამოგზაურო ლიტერატურა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა კონტექსტში, რომელშიც ფოკუსირებულია უშუალოდ სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებთან მიმართებით. მკვლევარი მიმოიხილავს გასული რამდენიმე საუკუნის, მოღვაწეთა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებებს და მათ ფონზე, საკმაოდ საინტერესოდ განიხილავს თავდ ჟანრის

მახასიათებლებსა და თავისებურებებს. დასახელებული ნაშრომი, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი კვლევა აბსოლუტურად განსხვავებულ დროსა და ეპოქაშია მოაზრებული, ძალიან ბევრ საინტერესო მასალას მოიცავს ჩვენი კვლევის მიმართულებით და რა თქმა უნდა გამოყენებული და გათვალისწინებული გვაქვს კვლევის პროცესში.

რაც შეეხება, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას, მისი როგორც თანამედროვე, მრავალპლანიანი და ერთ-ერთი გამორჩეულად დახვეწილი ავტორის შემოქმედება, ჩვენი აზრით, უდაოდ არის ძალიან საინტერესო კვლევის თვალსაზრისით და ამდენად, აღვნიშნავთ, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების შესახებ, არსებობს არაერთი საინტერესო რეცენზია თუ ნარკვევი, შესწავლილია რამდენიმე ასპექტი მის მხატვრულ შემოქმედებაში.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების მიმართ მკვლევართა დაინტერესება საკმაოდ არის გამოკვეთილი, უნდა აღვნიშნოს, რომ არსებულ გამოკვლევათა მთავარი ინტერესის საგანს, ძირითადად მწერლის მიერ ომის თემაზე შექმნილ მოთხრობები წარმოადგენენ. თუმცა, ეს კვლევები, რიგ შემთხვევაში მაინც მჭიდროდ ეხებიან ჩვენი კვლევისთვის საინტერესო საკითხებსაც და ხშირად ის ძირითადი მიმართულებები რაც „ვერცხლის ყვავილებსა“ და „თეთრ ქალაქში“ ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს, ვლინდება მწერლის შემოქმედების დანარჩენ ნაწილშიც; განსხვავება კი ის გახლავთ, რომ საკითხები რაც ჩვენი კვლევის მთავარ ხაზს წარმოადგენს, ზოგჯერ ტენდენციის სახით და ზოგ შემთხვევაში ავტორის განწყობა-დამოკიდებულებების იდენტურობის თვალსაზრისით, განაწილებულია სხვადასხვა ნაწარმოებებშიც. ამ ყოველივეს გათვალისწინებით კვლევათა მსგავსი თანხვედრადი კომპონენტები ჩვენთვის, თვისუფლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, კვლევის ისტორიად, როგორც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ზოგადი კვლევის კონტექსტში, ასევე ჩვენს მიერ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობანი, ვფიქრობთ, უთუოდ წარმოადგენს ჩვენი კვლევის გარკვეულ პრეისტორიასაც. ასევე, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ „მხატვრული ნაწარმოების შექმნის უპირველესი მიზეზი თვითონ მისი შემქმნელი ავტორია. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული კვლევის უძველესი და ყველაზე კარგად დამკვიდრებული მეთოდი სწორედ მწერლის

პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესწავლაზეა დაფუძნებული“ (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008: 218).

გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ბალები“ და „მძახლები“- შესახებ არსებობს ასევე გიორგი ხორბალაძის ნარკვევი „მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“, ნარკვევის ავტორის აზრით, „თხზულებებში ასახულია არაერთი რეალური ეპიზოდი, ამიტომაცაა ისინი ასეთი ნამდვილი და დამაჯერებელი“ (ხორბალაძე, 2015: 210). ასევე, გიორგი ხორბალაძეც მკვეთრად აღნიშნავს და მოიხსენიებს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებათაგანს მოთხრობათა მაღალმხატვრულ ღირებულებას. მწერლის შემოქმედებას ლაიტმოტივად გაზღვეს სამშობლოს ბედ-იღბალი, წუხილი საქართველოს წარსულის, აწმყოსი და მომავლის შესახებ. როგორც ნარკვევის ავტორი გამოკვეთავს, ისტორიული და ყოფით რეალობის პარალელური აღქმა, ამ შემთხვევაშიც ერთმნიშვნელოვნად დამახასიათებელია, მოთხრობებისათვის, ისევე როგორც ჩვენი კვლევისთვის შერჩეული ნაწარმოებებისათვის.

გიორგი ხორბალაძე მის კიდევ ერთ ნაშრომში „ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით“. განსაკუთრებით საუბრობს მწერლის მიერ ადამიანთა სულიერი სამყაროს ღრმა წვდომის უნარის შესახებ, რაც ასევე შეინიშნება როგორც „ვერცხლის ყვავილების“ ისე „თეთრი ქალაქის შემთხვევაში (ხორბალაძე, 2017: 167-174). გიორგი ხორბალაძის მიერ, ასევე, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია რამდენიმე ნარკვევი გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების შესახებ, მათ შორის: „ენისა და სტილის თვისებურებანი“; „მავთულხლათი - როგორც ახალი პარადიგმა“; „თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ასახული, ქართულ-ოსური ადამიანური ურთიერთობები რუსული პოლიტიკის მიღმა“ და ა. შ, რომლებიც ზოგად კონტექსტში ასევე იყო საინტერესო ჩვენი კვლევის მიმდინარეობისას.

რომსტომ ჩხეიძე, რომლის რეცენზიაც, გიორგი სოსიაშვილის წიგნში „მავთულხლართი“, 2015 წელსაა გამოქვეყნებული სათურით „მიწის სურნელი - თხრობის სარჩულად“, სხვა საინტერესო მოსაზრებებთან ერთად, აღნიშნავს, რომ

ლირიზმით, დრამატიზმითა და იუმორით მწერალი მკითხველს შთამბეჭდავად გადასცემს სათქმელს. მისეულ თხრობაში ვერსად შევხვდებით მხატვრული აზროვნებისათვის ხშირად დამახასიათებელ პუბლიცისტურობას, იგი ასევე ხაზს უსვამს მიწის მძაფრ შეგრძნებას გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში, რომელიც მომდინარეობს მწერლის შინაგანი სამყაროდან და რომელიც მკითხველს ბუნების ცხოვლემყოფელობას განაცდევინებს. კვლევის ზოგად კონტექსტში, როსტომ ჩხეიძის ეს მოსაზრებაც საინტერესოდ არის თანხვედრაში ჩვენი კვლევის მიმართულებასთან. (სოსიაშვილი ,, მავთულხლართი“ 2015: 4).

„მწერლის გაზეთის“ 2016 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა სოსო სიგუას რეცენზია სათაურით „ჩვენი ცხოვრების სურათები“, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აბსტრაქტული ხედვისა და ზოგადდროვნული პრობლემების უგულებელყოფის საპირისპიროდ, სოსო სიგუა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში ხედავს რეალობის ასახვის მტკივნეულ განცდას. მწერალი უბრალო ხალხის მეშვეობით, დიალოგებით, მრავალფეროვანი ეპიზოდებით ქმნის შესანიშნავ რეალისტურ სურათებს. სოსო სიგუას აზრით, საინტერესოა, მწერლის მიერ შექმნილი დრამატული სიუჟეტები, მომხიბლავი პეიზაჟები, ზომიერი დიალექტური ფორმები, ტოპონიმები, ეპიკური თხრობა - ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებს სძენს განსაკუთრებულ კოლორიტს. შემოქმედი, როგორც ისტორიკოსი, წარმოაჩენს თანამედროვე პრობლემებს და ცდილობს მათი წარმომშობი მიზეზების გარკვევას და მკითხველს აძლევს ისტორიული ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას, რაც მიუხედავად იმისა რომ ომის თემაზე შექმნილ სულ სხვა მოთხრობების დახასიათების ზოგად ნაწილს წარმოადგენს ასევე, საინტერესოა ჩვენი კვლევის კონტექსტში.

იოსებ ჭუმბურიძეს მიაჩნია, რომ მოთხრობათა კრებული „გამორთული მთვარე“, რომლის რედაქტორიც თავად გახლავთ, გამოირჩევა ტექსტების მაღალმხატვრულობით და კრებულის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებად სწორედ მაღალმხატვრულობას მიიჩნევს. მხატვრულად ასახვის მრავალფეროვანი ხერხებით, რეალობისა და მისტიკის შეზავებით, რაზეც რედაქტორი ამახვილებს ყურადღებას, ზუსტად არის დამახასიათებელი ასევე ორივე ჩვენი კვლევისათვის შერჩეული წიგნის შემთხვევაშიც

და ბუნებრივია ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ჩვენი თემისთვის საკითხის შესწავლის ისტორიის ერთ ასპექტს, სოსო ჭუმბურიძის ვრცელი რეცენზიაც წარმოადგენს(სოსიაშვილი, 2016: 4).

რევაზ მიშველაძე კი, გიორგი სოსიაშვილის წიგნის „დროის საზომთა გარეშე“, რეცენზიაში ხედავს „დინჯი მოზომილი ნაბიჯებით წინ მიმავალ პროზაიკოსს, გიორგი სოსიაშვილის სახით და მის შემოქმედებას განსაკუთრებით გამოარჩევს „სიუჟეტის სიმძაფრით, კონკრეტული თხრობითა და „ლირიზმთან შენივთული ღრმა ფსიქოლოგიზმით“ (სოსიაშვილი, 2014: 3). თითქოს რეცენზიის ავტორი ერთგვარ მისიადაც კი განუსაზღვრავს მწერალს მის მწერლურ დანიშნულების მთავარ დატვირთვას - ასახოს საქართველოს ძნელბედობით აღსავსე ისტორია ლიტერატურაში, ამ მისიის გაგრძელებად კი აუცილებლად უნდა ვადიაროთ ჩვენი კვლევისთვის შერჩეული ნაწარმოებები; ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გიორგი სოსიაშვილმა ჩვენს მიერ კვლევისთვის შერჩეული წიგნების შექმნით, ფართოდ გაშალა სწორედ ის ლიტერატურული მისია რასაც რევაზ მიშველაძე მოიაზრებდა დამოწმებულ სტატიაში.

ასევე რევაზ მიშველაძემ ლიტერატურული ნარკვევების კრებულში „სჯანი კულტურასა და პოლიტიკაზე“ (2016 წ.) გამოაქვეყნა ნარკვევი „ახალი... ნამდვილი“ სადაც ზოგადად მიმოიხილავს გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას მისი მოთხრობების კრებულის - „მავთულხლართის“ მაგალითზე. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოჩნდა პროზაიკოსი, რომელიც ორიგინალური სტილით ქმნის თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი აქტუალური თემატიკით გაჯერებულ ნაწარმოებებს. იგი, გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ მეტყველებასაც განიხილავს და აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოებები გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკური მარაგით.

„მწერლის გაზეთის“ 2017 წლის პირველ ნომერში, დაბეჭდილია მურმან თავდიშვილის რეცენზია „ომის მოთხრობები“, სადაც მისი ავტორი „გამორთული მთვარის“ მაგალითზე, ყურადღებას ამახვილებს მწერლის მხატვრული სტილის მრავალფეროვნებაზე, მისი აზრით - ცალკეული პოეტური სახეები, მეტაფორული გამოთქმები, საინტერესო შედარებები მწერლის რეალისტურ ნარატივს ფერადოვნებას

ანიჭებს. ასევე ხაზს უსვამს, რომ ქართულ მწერლობაში სადღეისოდ მომრავლებულ მშობლიური ენის არასათნადოდ მცოდნეთა საპირისპიროდ, გიორგი სოსიაშვილთან ჩანს „ღრმა ენობრივ ძიებათა კვალი, რაც მკითხველის თვალს ასვენებს, გულსა და გონებას კი სიამესა ჰგვრის“, მურმან თვდიშვილის შეფასებითვე, გიორგი სოსიაშვილს ძალუმს - სიტყვას ათქმევინოს იმაზე მეტი, ვიდრე ერთი თვალის გადავლებით იკითხება.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა კრებულში, „მზის გადაღმა“, დაბეჭდილია თამილა გოგოლაძის რეცენზია - „მტევნად შეკრული სიტყვების მადლი“, რომლის ავტორიც განსაკუთრებით აღნიშნავს თანამედროვე მწერლის ლიტერატურულ მეტყველებას და მიიჩნევს, რომ შემოქმედი ტრაგიკულ ამბებს „სხივნათელი“, „მწყობრი“, „გულის სისხლით ნაკვები“ „ნაღდი ქართულით“ მოგვითხრობს. ასევე, თამილა გოგოლაძის სტატიაა დაბეჭდილი „მწერლის გაზეთის“ 2017 წლის მეხუთე ნომერში სათაურით - „გიორგი სოსიაშვილის 2016 წლის უხვი ლიტერატურული მოსავალი“. პუბლიცისტური წერილის ავტორი მიმოიხილავს პროზაიკოსის შემოქმედებას და განსაკუთრებით შთამბეჭდავად თვლის, მწერლის მიერ რეალობის აღქმასა და ლიტერატურულად ასახვის გამორჩეულ უნარს, მისი წერის მაღალმხატვრულ სტილს.

ჩვენთვის, ასევე მეტად საინტერესო აღმოჩნდა 2016 წლის 22 ნოემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, წაკითხული მოხსენებები, გიორგი სოსიაშვილის წიგნის „გამორთული მთვარე“ განხილვაზე; მოგვიანებით კი აღნიშნული მოხსენებები ბეჭდური სახითაც იქნა წარმოდგენილი. მოხსენებები წარმოადგინეს ბელა წიფურიამ, ეთერ თათარაიძემ, ნანა კუციამ, ნინო ვახანიამ და მარინე ტურავამ. ბელა წიფურიასთვის ნიშანდობლივია ის ემოციური ზეგავლენა, რომელსაც გიორგი სოსიაშვილის ტექსტები ახდენს. მათში ასახული ტრაგიზმი გულწრფელი ემოციურობის მატარებელია და ბუნებრივი ეფექტით გათავისებადია მკითხველისათვის. გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებები კრიტიკოსისათვის განსაკუთრებულია, რამდენადაც XXI საუკუნეში ქართულ ლიტერატურაში მწერლის მიერ ლიტერატურული არსენალის ემოციურად და შთამბეჭდავად გამოყენება მისთვის ნამდველი აღმოჩენაა, „ძველის ხელახალი

აღმოჩენა“. მკვლევარის აზრით, გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები აგებულია რეალისტური პრინციპით და დაწერილია ისე, რომ არც ერთი მათგანის კითხვისას არ ჩნდება ყალბი ემოცია. „ეს არის ძალიან დიდი მიღწევა რეალისტი და ზოგადად მწერლის მიერ გახორციელებული, იმიტომ რომ რეალიზმს ის პოტენციალი, რომელიც ლიტერატურაში აქვს ვიცით, მაგრამ რეალისტურ ლიტერატურას შეუძლია ხელახლა იცოცხლოს, თავისი სისტემის ფარგლებში, ეს ბევრს არ დაუდასტურებია. ეს ჩემთვის დაადასტურა ამ წიგნმა.“ - აღნიშნავს მკვლევარი.

ნანა კუციას თვალთახედვით, გიორგი სოსიაშვილი ისტორიულ სინამდვილეს პროვიდენციულად და ტექნოლოგიურად ასახავს. ამის საფუძველი კი რეალისტური თხრობაა. რეალობის ცალსახა შეგრძნება მოთხრობებს მაღალ ღირებულებას ანიჭებს. კრიტიკოსისათვის ასევე ნიშანდობლივია მწერლის მხატვრულად და ბელეტრისტულად წარმოდგენილი დუკუმენტური თხრობის მანერა, რაც ჩვენი აზრით, საუკეთესოდაა წარმოდგენილი როგორც „ვერცხლის ყვავილების“ ისე „თეთრი ქალაქის“ შემთხვევაშიც.

ნინო ვახანიასთვის კი საყურადღებოა მწერლის „მარღვიანი ქართულით“ მეტყველება და მნიშვნელოვან აღმოჩენად ესახება თხრობისას დავით გურამიშვილისეული სიტყვის - „კაბდოს“ გამოყენება, - „აქამდე მკვდარი მეგონა (სიტყვა „კაბდო“) და აჰა, ცოცხალია და მოულოდნელად შემომეგება რამდენჯერმე“. საინტერესოა ასევე, რომ მარინე ტურავა, ისევე როგორც ნინო ვახანია, მოთხრობების კრებულს - „გამორთული მთვარე“ ერთ მთლიან რომანადაც აღიქვამენ და ცალკეული მოთხრობების ამ ერთიანობის დანახვით, წინასწარეულად ეხმიანებიან ჩვენი ერთ მიზანთაგანს, რამდენადაც ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია, სამოგზაურო პროზის ვრცელ წიგნებში ნოველების და მოთხრობების კრებულის დასანახავად და პირიქით. ასევე საინტერესოა, რომ კვლავ წინსწრებით (მართალია რამდენადმე განსხვავებული მიმართებით) მარინე ტურავა პარალელს გაავლებს სულხან-საბა ორბელიანთან, ამ შემთხვევაში როგორც „სიბრძნე - სიცრუისას“ ავტორთან, თუმცა ნიშანდობლივია რომ ეს პარალელი აღმოჩნდა განგრძობადი და უკვე სამოგზაურო-დოკუმენტური პროზის მიმართულებითაც გახდა რელევანტური.

რაც შეეხება ჩვენ მიერ შერჩეული ორი წიგნის შესახებ არსებულ კვლევებს, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს თავად წიგნის რედაქტორების გიორგი ხორბალაძისა (ვერცხლის ყვავილები) და თამარ გელიტაშვილის (თეთრი ქალაქი) ფრიად საინტერესო რეცენზიები. გიორგი ხორბალაძის აზრით, „ვერცხლის ყვავილების“ „ნოველები მარტოდენ ერთ ტკივილს არ მოიცავს, აქ უფრო საქართველოს ისტორიულ წარსულზე მკითხველის ყურადღების კორდინაციაა მთავარი მოტივი, ხოლო ფერეიდან, როგორც ამ ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, როგორც მრავალტანჯული სამშობლოს თვალხილულ ტკივილთაგანი, მწერლის სულერი მონოლოგის პრეზენტაციისთვის, სწორედ შესაბამისი ადგილია“ (სოსიაშვილი, 2015: 4-5). ხოლო როგორც თამარ გელიტაშვილი აკეთებს შეფასებას მის რეცენზიაში, „თეთრი ქალაქის“ ავტორმა წმინდა მიწაზე მოგზაურობისას აღძრული შთაბეჭდილებები და ამ ღვთაებრივ სამკვიდრებელზე მომხდარი საკრალური ამბები მხატვრულად გარდათქვა და პოლიჟანრული ნაწარმოების დასრულებული სახე მოგვცა“ (სოსიაშვილი, 2016: 3).

ასევე „თეთრი ქალაქის“ შესახებ გაზეთში „მწერლის გაზეთი“ (2017 წ. #2(257) 1-31 მარტი) გამოქვეყნებულია ალექსანდრე მღებრიშვილის კვლევა, წიგნის სათაურითვე „თეთრი ქალაქი“, სადაც სტატიის ავტორი ფართედ მიმოიხილავს იერუსალიმის ნახვით გამოწვეულ, მწერლის ემოციათა მდინარებას, ხოლო წიგნის ჟანრობრივი დახასიათებისას აღნიშნავს რომ, იგი: „საერთო არქიტექტონიკით შეკრული მცირე ზომის ნოველებია, რომლებიც წმინდა მიწაზე მოგზაურობის ავტორისეულ შთაბეჭდილებებს წარმოადგენს. ხატოვნად მოცემული ბიბლიური სიუჟეტები, რეალური და ირეალური წარმოსახვითი პასაჟები ტექსტს მისტიურ საბურველში ხვევს და დოკუმენტური პროზის საინტერესო ნიმუშად აქცევს“ („მწერლის გაზეთი“, 2017: 6).

ამდენად, შევეცადეთ ამ თავში სრულყოფილად მიმოგვეხილა ჩვენი საკვლევი თემის შემხებლობაში მყოფი რეცენზიები და ნარკვევები, რათა შემდგომ, სამეცნიერო კეთილსინდისიერების სრული დაცვით გამოგვეყენებინა ჩვენს კვლევაში.

## თავი II. დოკუმენტური სამოგზაურო ჟანრის საწყისები და გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი ქალაქის“ მიმართება ჟანრის ტრადიციებთან

ბუნებრივია, თანამედროვე ავტორის კვლევის დროს, ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინტერესის სფეროს და დასაწყისის მთავარ საკითხთაგანს წარმოადგენს, ჩვენი კვლევის საგნის მიმართება არსებულ ლიტერატურულ ტრადიციებთან; ამდენად, აუცილებლად მივიჩნევთ თვალი გადავავლოთ ჩვენს კვლევამდელ გარემოებებს და ზოგადად მიმოვიხილოთ მისი წინარე პერიოდი, რათა საკითხის განხილვა, მოვახერხოთ არსებული ლიტერატურული მემკვიდრეობის შუქზე და კვლევა ერთგვარად ფესვებიდან წამოვიწყოთ. როგორც დარეჯან მენაბდე აღნიშნავს - სამოგზაურო ჟანრი ორიგინალურ ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა XVIII საუკუნეში, რასაც ხელი შეუწყო კონკრეტულმა ისტორიულმა ვითარებამ - მუსლიმურ იზოლაციაში მოქცეული საქართველო როგორც პოლიტიკური, ისე კულტურულ-ინტელექტუალური თვალსაზრისით უკვე მზად იყო, ამ იზოლაციის გარღვევისა და საერთო-საკაცობრიო ცხოვრებაში ჩართვის პროცესისათვის მიზანმიმართული ხასიათი მიეცა. გახშირდა ქართველ მოღვაწეთა მოგზაურობები უცხოეთის ქვეყნებში, რასაც სხვადასხვა მიზანი ჰქონდა: წმინდა ადგილების მოხილვა, საერთაშორისო ვითარების გარკვევა, დიპლომატიურ მისიათა შესრულება, სამხედრო და სავაჭრო საქმეები, ქართულ სიძველეთა გამოვლენა და სხვ.

ამ მოგზაურობათა დროს მოპოვებული მასალის საფუძველზე არაერთმა ქართველმა მოღვაწემ ჩვენს მწერლობას მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებები შესძინა - დოკუმენტური თუ მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები შექმნეს სულხან-საბა ორბელიანმა, ტიმოთე გაბაშვილმა, იონა გედევანიშვილმა, რაფიელ დანიბეგაშვილმა, გიორგი ავალიშვილმა და სხვ.; წმინდა ადგილები მოიხილეს ტ. გაბაშვილმა (იერუსალიმი, ათონი...) და ი. გედევანიშვილმა (იერუსალიმი, კვიპროსი, ათონი...), პოლიტიკურ- დიპლომატიური მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში ს.-ს. ორბელიანმა, პოლიტიკურ-დაზვერვითი მიზნებით რამდენჯერმე იყო ინდოეთში რ. დანიბეგაშვილი, „XVIII საუკუნის II ნახევარსა და, განსაკუთრებით, XIX

საუკუნის დასაწყისში არაერთი სამოგზაურო ჟანრის თხზულება შეიქმნა რუსეთში იძულებით გადასახლებულ ბატონიშვილთა წრისა თუ მათი გარემოცვის მიერ (თ. ბაგრატიონი, გ. რატიშვილი, ნ. ონიკაშვილი და სხვ.).

დასახელებულ თუ სხვა ავტორთა სამოგზაურო, აგრეთვე, სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულებები, რასაკვირველია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თხრობის სისრულითა და სკრუპულოზურობით, ისე ლიტერატურული ღირსებებითაც. თუმცა, ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას - თითოეული მათგანი თავისთავად საინტერესოა ქართული მწერლობის ისტორიისათვის და, რაც მთავარია, ბევრ თხზულებაში შემონახულია ისეთი ცნობები, რომელთა მნიშვნელობა უაღრესად დიდია ზოგადად ჩვენი სულიერი თუ მატერიალური კულტურის ისტორიისთვისაც.“ (დ. მენაბდე, 2009, 47)

XVIII საუკუნის ქართველმა მოღვაწე იონა გედევანიშვილმა, რომელსაც საინტერესო და ამავდროულად რთული მოღვაწეობა ჰქონდა, თავისი ხუთწლიანი მოგზაურობა (1805-1810 წწ.) თხზულება სამოგზაურო ჟანრის წესების შესაბამისად არია აგებულინა წარმოებში იონას აღწერილი აქვს კონსტანტინოპოლი, ათონის ივერთა მონასტერი, იერუსალიმი, ალექსანდრია, სინას მთა, ვენა, პოლონეთის, მოლდავეთისა და რუსეთის ქალაქები; ამ ქვეყნების მცხოვრებთა ზნე - ჩვეულებანი, ყოფა, ვაჭრობა. თავისი ერუდიციითა და სამეცნიერო ინტერესებით იონას შრომას გამორჩეული ადგილი უკავია ამ ჟანრის ქართულ თხზულებათა შორის (რუისის მიტროპოლიტი 1852: 6) .ამ სამოგზაურო პროზის ნიმუშთნ მიმართებაში, გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებები, არა მარტო ზოგად ჟანრობლივ მახასიათებლებთან იკვეთება, არამედ პირდაპირი პარალელით შეგვიძლია დავაკავშიროთ ორი მოგზაურის თვალით დანახული წმინდა ქალაქი, აღვადგინოთ და ურთიერთმიმართებაში დავინახოთ მეცხრამეტე და ოცდამეერთე საუკუნის იერუსალიმის სურათები, ამასთან კი უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ ორივე წიგნის ნარატივის ჯამში, გიორგი სოსიაშვილიც რამდენიმე ქვეყანასა და ქალაქს გამოივლის და ადგილობრივთა ყოფასა თუ ზნე ჩვეულებებსაც დოკუმენტურობის დაურღვევლად, შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით აღგვიწერს.

„სამოგზაურო-მემუარული ჟანრის პირველი თხზულებები, რომლებშიც აისახა რუსული თემატიკა, შექმნეს ვახტანგ VI-ის გარემოცვის წევრებმა. საერთოდ, ვახტანგ VI-ისა და მისი ამაღლის რუსეთში ჩასვლა, იქ ცხოვრება და კულტურულ-სალიტერატურო მოღვაწეობა სრულიად ახალ ფურცელს (უნდა ითქვას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით - ტრაგიკულ ფურცელს) შლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა ისეთი თხზულებები, როგორებიცაა გაბრიელ გელოვანის „მცირეანდერძი“ და ვახტანგ ორბელიანის „ამბავნი პეტერლოვისა“ (დ. მენაბდე, 2009, 47).

გ. გელოვანმა (გარდ. 1754 წლისშემდეგ) მოსკოვში თარგმნა სახელმძღვანელოს ტიპის წიგნი „მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა“, რომელსაც ერთვის მთარგმნელის ჩანაწერი „მცირე ანდერძი“ („განსრულდა თარგმანი წიგნისა ამის აწ მოგიტხრობთ თვით ჩვენ და მომცირეს რასმე ანდერძსა“) (გელოვანი 1963: 175-177).

მიუხედავად „მცირე ანდერძის“ მართლაც მცირე მოცულობისა, იგი მდიდარია ფაქტობრივი მასალით: ავტორი გვაცნობს ვახტანგ მეექვსის ამაღლის მოგზაურობას, გადმოგვცემს არაერთ საყურადღებო ფაქტს ქართველთა და ჩრდილო კავკასიელთა თუ რუსთა ურთიერთობის ისტორიიდან, წერს მთიელი ტომების ძალმომრეობაზე ვახტანგის ამაღლის მიმართ, აღწერს ყალმუხთა და რუსთა ჯარის წყობას, აღნიშნავს ქართველთა პატივით მიღებასა და მასპინძლობას ჩერქეზეთში, სოლალში, ასტრახანში, პეტერბურგში. თხზულებაში მოხსენიებული არიან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ისტორიული პირები და მოცემულია საინტერესო ცნობები მათზე“ (დ. მენაბდე, 2009, 49,50). ამ შემთხვევაში, მართალია, გიორგი სოსიაშვილის სამოგზაურო პროზის ნიმუშები მხოლოდ ჟანრობრივ თანხვედრაშია დასახელებულ სამოგზაურო პროზის ნიმუშებთან, თუმცა ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოებაც, რომ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების ძირითადი ნაწილი, სწორედ ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხებს უტრიალებს და ის დოკუმენტური მასალა, რაც ამ სამოგზაურო პროზის ფუნდამენტია, გამოდის რომ ამა თუ იმ ფორმით მაინც არის გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების წიაღში.

აქვე, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქართული განმანათლებლური რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელის იოანე ბაგრატიონის შესახებაც (1768-1830), მისი საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, ჩვენთვის „განსაკუთრებით ფასეულია ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა“ (1813-1828), რომელსაც ავტორი „ხუმარსწავლას“ უწოდებს. ... მთავარი მოქმედი გმირი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკალმასოდ და ესაუბრება უამრავ ადამიანს სხვადასხვა საინტერესო თემაზე. ნაწარმოებს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს დიალოგური ფორმა და მოგზაურის ჟანრის გამოყენება. წიგნში თავმოყრილია იმ პერიოდში არსებული მეცნიერული ცოდნა და წარმოჩენილია საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობის რეალისტური სურათები. (გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008: 218) ამდენად, მოგზაურობის ჟანრის გამოყენების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მოქმედი გმირი „კალმასობისა“ ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობს მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია, მისში ასახული დოკუმენტურობისა და განმანათლებლური დანიშნულებიდან გამომდინარე.

სამოგზაურო ჟანრის ლიტერატურა თითქმის ყველა მკითხველში ინტერესს იწვევს, რამდენადაც მთხრობელი ახერხებს შექმნას განცდა თითქოს მკითხველიც, ავტორთან ერთად მოგზაურობს, მის განცდებსა და ემოციების თნაზიარია და ავტორთან ერთად უწევს იმის გადატანა, რისი გადატანაც შეიძლება მოუხდეს მწერალს.

გარდა მკითხველისა, ლიტერატურათმცოდნეებისთვისაც მნიშვნელოვანია სამოგზაურო ჟანრის განხილვა, რადგან უშუალოდ ქვეყნებისა და მთხრობელის თავგადასავლების გარდა, მწერლის პიროვნება, მისი შინაგანი სამყარო და შემოქმედების სტილური თავისებურებები კიდევ უფრო უკეთ ჩანს ამ ტიპის ნაწარმოებში.

„ვერცხლის ყვავილები“ თანმიმდევრობით ასახავს მწერლის მოგზაურობას ფერეიდანში, ხოლო „თეთრი ქალაქი“ იერუსალიმში. ამ გამგზავრებებთან ავტორის სურვილი და დამოკიდებულება, აღვნიშნავთ რომ ოცნების ახდენადაც კი დავინახეთ, წიგნის ყოველი სტრიქონი სამშობლოს სიყვარულით არის ნაკარნახევი და ჩვენ

ვფიქრობთ, გარკვეული ნიუანსობრივი თხრობის გათვალისწინებით, ამ წიგნთა პირველადი სახეობა სწორედ დღიური უნდა იყოს. ამიტომ, გარდა, სათავგადასავლო-სამოგზაურო დოკუმენტური პროზისა გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილები“ და „თეთრი ქალაქი“ ერთგვარ დღიურადაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. რამდენადაც ამ ნაწარმოებთა მხოლოდ დოკუმენტურ სამოგზაურო პროზად მოხსენიება მაინც ვერ მოიცავს წიგნების ფორმასა და შინაარსის განსაზღვრება სრულყოფილად. ამიტომ ვფიქრობთ ლიტერატურულ წინამორბედთა შორის ასევე უნდა მოვისწოდოთ ის დღიურის ტიპის ლიტერატურაც, რომლებიც მოგზაურობას ასახავენ, ან მათი ავტორის სხვა ქვეყანაში ყოფნისას არიან შექმნილნი და რომელთაც გარკვეული ლიტერატურული ღირებულება გააჩნიათ. ვფიქრობთ გიორგი სოსიაშვილის ამ ორი წიგნისთვის სამოგზაურო დღიურის განსაზღვრების მინიჭება ისეთივე სწორია და მისადაგებელია როგორც სამოგზაურო დოკუმენტური პროზის ქარგაში მოაზრება. „მსოფლიო მწერლობაში უხვად მოიპოვება გამოჩენილ ადამიანთა დღიურები (ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, ჯ. ლეოპარდი და სხვა.). ქართული მწერლობიდან კი დღიურზე, როგორც ლიტერატურულ ტექსტზე, მსჯელობისას პირველ რიგში გაგვახსენდება სულხან -საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც არსებითად დღიურის ფორმითაა დაწერილი და ერთი მხრივ, ეროვნული ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ძეგლია.“ (XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები). წინა თავში, ჩვენ დავიმოწმეთ მარინა ტურავას შეფასება, სადაც იგი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა კრებულს შესახებ „გამორთული მთვარე“ საუბრისას, პარალელს ავლებდა სულხან -საბა ორბელიანის იგავ-არაკების კრებულთან „სიბრძნე სიცრუისა“, ამ შემთხვევაში კი ჩვენი აზრით, „მოგზაურობა ევროპაში“ ასევე უშუალო წინამორბედი „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი ქალაქისა“ .

არსებობს ასევე საინტერესო წიგნი „XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები“, სადაც შესულია XIX საუკუნის ოთხი ავტორის ექვსი ტექსტი. ესენი არიან:

თეიმურაზ ბაგრატიონის „სპარსული დღიურები“ - რომლის ტექსტიც თავებად არის დაყოფილი და ატარებს დღიურის სახეს; დასახელებულია წლები, ხშირად თვე და რიცხვი, მზარდი თანმიმდევრობით, თხრობა პირველი პირითაა გადმოცემული. „სპარსული დღიურები“ მნიშვნელოვანია, რადგან მასში გადმოცემულია ისტორიული-

ლიტერატურული წყაროები. ავტორი ბევრი ამბის მომსწრე თავად არის და ზუსტად აქვს გადმოცემული ესა თუ ის ისტორიული ფაქტი. მართალია ტექსტი არქაული ფორმით არის დაწერილი და ამის გამო რთულად იკითხება, მაგრამ ბევრ საინტერესო და ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს მოიცავს. თეიმურაზ ბაგრატიონი თავის დღიურებში მოგვითხრობს სპარსეთის ყოფის, სპარსელთა ზნე-ჩვეულებების, სპარსული ცხოვრების წესისა და ა.შ. შესახებ.

საინტერესოა, რომ გიორგი სოსიაშვილის მოგზაურობა თანამედროვე სპარსეთში ანუ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სწორედ მთავარი თემაა „ვერცხლის ყვავილების“ შემთხვევაშიც. შესაბამისად თემატური თვალსაზრისით ბევრი პარალელისა და განსხვავების მოძიება საინტერესო საკითხი იქნებოდა ლიტერატურული კრიტიკის თვალსაზრისით, მით უფრო რომ ისტორიულ-ლიტერატურული კურსი განუხრელად და თანაბარზომიერად არის გიორგი სოსიაშვილთან, როგორც მწერალთან და როგორც ისტორიკოსთან. რა თქმა უნდა ძირითადი ხაზი ამ შემთხვევაში განვითარებულია ფერეიდანის მიმართულებით და მწერლის მთავარ ინტერესის საგანს წარმოადგენს, საუკუნეების წინ ფერეიდანში გადასახლებული ჩვენი თანამემამულეების დღევანდელი ყოფის, მათში შენახული ქართული სულისკვეთების ამაღლვებელი საკითხი, თუმცა ძირითადი საკითხის აღწერის კვალდაკვალ შემოდის თანმდევი საკითხებიც რომლებიც წარმოშობენ იმ პარალელური კვლევის შესაძლებლობას რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნავდით.

მეორე დღიური გახლავთ გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“. ამ დღიურში ავტორი ყოველ გავლილ ადგილს დეტალურად აღწერს, მასში დახასიათებულია ისტორიული ძეგლები და აღწერილია ასევე ყაზარდოელთა ტრადიციები. აქაც, ტექსტი თავებად არის დაყოფილი და ატარებს დღიურის სახეს, დასახლებულია თარიღები, თხრობა წარმართულია პირველი პირით. გრიგოლ ორბელიანი ასევე ხშირად მიმართავს თხრობის არქაულ ფორმებს და ტექსტში არცთუ იშვიათად გვხვდება უცხო სიტყვები.

წიგნში ასევე შესულია გიორგი ერისთავის „ჩემი მოგზაურობა 1862 წელსა 13 ივნისიდან“. აქაც, ასევე ტექსტი თავებად არის დაყოფილი, დასახლებულია თარიღები

და ტექსტი დღიურის ქარგაშია მოქცეული. თხრობა კვლავ პირველი პირითაა გადმოცემული. მწერალი აღწერს ქალაქებს, ისტორიულ ძეგლებს, დეტალურად ხატავს მოგზაურობისას გავლილ ადგილებს.

მეოთხე ავტორი არის დიმიტრი ყიფიანი „დღიური 1882 წლისა“, როგორც სათაურიდანვე ხდება საცნაური ეს ნიმუშიც დღიურის ფორმატში აღიქმება და მიგვაჩნია, რომ არტიტექტონიკით, ზემოთ დასახელებული ავტორების დღიურებს, ბევრი საერთო აქვს გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებთან“ და „თეთრ ქალაქთან“, რა თქმა უნდა მრავალი განსხვავების კვალდაკვალ.

გიორგი სოსიაშვილის ორივე წიგნი ასევე დაყოფილია თავებად, მასშიც გადმოცემულია ავტორის განცდები და ემოციები, აღწერილია ისტორიული ძეგლები და ქალაქები, ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებანი და.ა.შ. თხრობა აქაც პირველი პირით არის განვითარებული. ბუნებრივია, თანამედროვე ავტორი XIX საუკუნისგან განსხვავებით, წერს სხვა სტილით, რის გამოც თხრობა არის მარტივი და მკითხველისთვის ადვილად გასაგები.

ვიდრე საკითხზე მსჯელობას და მისი წინაპირობების კვლევას დავასრულებდეთ, საინტერესოა ამ მიმართულებით თანამედროვე ლიტერატურასაც გადავავლოთ თვალი; ამ მხრივ, ჩვენ განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია დათო ტურაშვილის „ამერიკული ზღაპრები“, რომელსაც ასევე აქვს გარკვეული საერთო ნიშნები გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებთან“ და „თეთრ ქალაქთან“. დათო ტურაშვილმა აღმოაჩინა და სხვა თვალთ დაინახა ამერიკა. ისევე როგორც გიორგი სოსიაშვილმა აღმოაჩინა თავისი ფერეიდანი და იერუსალიმი. ორივე მწერალი შორეული ქვეყნის შესახებ მოგვითხრობს. ამერიკული მოგზაურობის შთაბეჭდილებები ქართული ამბების გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი, ისევე როგორც გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებში. და ორივე მწერლის შემთხვევაში შეინიშნება, ცალკეული თავების ინდივიდუალურობა და ამავედროულად წიგნის საერთო სულისკვეთებასთან თავსებადობა. თუმცა, ამ შემთხვევაში, მიუხედავად მსგავსი ქარგის ფაქტორთან ერთად, წიგნების შექმნის დროის მეტი თანხვედრადობისა, მათ შორის განსხვავება მაინც

რადიკალურია, რამდენადაც ორივე მწერალს აქვს ინდივიდუალური სტილი და თხრობის მანერა.

გარდა ზოგადი არქიტექტონიკური თანხვედრადობისა, შესაძლებელია არაერთი საკითხის გამოტანა პარალელური განხილვისთვის, მაგალითად გრიგოლ ორბელიანსაც მის დღიურში „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“ და გიორგი სოსიაშვილსაც წიგნში „ვერცხლის ყვავილები“ ერთ-ერთ თავში აღწერილი აქვს ქორწილის ტრადიცია, ისტორიული და რელიგიური დანიშნულების ძეგლების აღწერის თვლსაზრისით, თვალშისაცემია განსაკუთრებული მონდომება თითქმის ყველა ავტორის მხრიდან, ყველა მათგანს იზიდავს მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებზე დაკვირვება და ზოგჯერ დადარაჯებაც კი საინტერესოს და ახლის მოსაძიებლად. მართალია გიორგი სოსიაშვილი თვების ბოლოს არ სვამს თარიღებს მაგრამ, ვფიქრობთ აუცილებლად უნდა არსებობდეს დაბეჭდვამდელი ვერსია ამ წიგნებში თავმოყრილი ამბებისა შესაბამისი თარიღებით მინიშნებული. ამასთანავე „ვერცხლის ყვავილები“ და „თეთრი ქალაქი“ აბსოლუტურად პასუხობს დღიურის ძირითად იდეას: „დღიური, როგორც წესი, საყურადღებო მასალას იძლევა ავტორის მსოფლმხედველობის, ინტერესების, კონკრეტული ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი მიუკერძოებელი დამოკიდებულების, ცხოვრებისა და აზროვნების წესის შესახებ, ამასთან ასახავს ეპოქის თავისებურებებს, კონკრეტული დროის პოლიტიკურ -ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს“(XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები).

### თავი III. ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა „ვერცხლის ყვავილების“ მიხედვით

როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშეთ ჩვენი კვლევისთვის მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ ის ინდივიდუალიზმი რომელიც გიორგი სოსიაშვილის სამოგზაურო დოკუმენტურ პროზას გააჩნია, ძირითადი აქცენტი ჩვენს მიერ გაკეთებულია კონკრეტული ტენდენციის შესახებ, კერძოდ როგორც ჩვენ შევნიშნეთ, ტექსტი ერთდროულად არის ერთიანი და განუყოფელიც და ამავდროულად მოიცავს დამოუკიდებელ ნოველური ხასიათის ამბებსა და თხრობას, ასევე მნიშვნელოვანია, დოკუმენტური რეალობის შენარჩუნება, ტექსტისაგან მხატვრული ელემენტების მოუშორებლად და დროსა და სივრცეში გარდამავალობა, როგორც მთელს წიგნში, ისე ინდივიდუალური ნოველების ქარგაში. ბუნებრივია ამ ყოველივეს დემონსტრირებისათვის, თვალი უნდა გავადევნოთ ორივე წიგნის მხატვრულ და შინაარსობრივ განვითარებას, ამ თავში კი უშუალოდ „ვერცხლის ყვავილებს“ შევხებით.

ვერცხის ყვავილების პირველი ნოველა „აღზევანი“ ძალიან საინტერესოდ შემოდიან და აღებს წიგნის კარიბჭეს... ნოველა აღზევანში მარილისათვის წასული მამაშვილის ცხოვრების ეპიზოდს ასახავს და ამით მწერალი ისტორიული დისკურსისთვის ამზადებს მკითხველს. უეცრად კი აღმოჩნდება, რომ ეს ნოველა ავტორის ფიქრების ნაყოფია, რომელიც ძილ-ბურანში წასულს სიზმარეულად მოევიწყა აღზევანის მისადგომებთან, რეალურად კი მწერალი ტრანსპორტში ზის და სამშობლოს ამჟამინდელ საზღვარს ტოვებს, ისტორიული სამშობლოს მიწაზევე დარჩენილს კი უცხო ქვეყნის დროშა აუფრიალდება თვალსაწიერში ნიშნად და სიმბოლოდ ჩვენი ქვეყნის ბედკრული წარსულისა.

ნათქვამია ადამიანს თავისი ბედი დაყვებაო და მეორე ნოველა „სამხრეთის მავთულხლართი“, კვლავ მწარედ შემოიჭრება ჩვენი სამშობლოს ბედკრული სვე-ბედის დასტურად, ოღონდ ახლა უკვე არა ისტორიული არამედ თანამედროვე სვე-ბედისა... „გიორგი სოსიაშვილი წლებია, ოკუპირებული ტერიტორიის მომიჯნავე სოფელ დიცში ცხოვრობს, მავთულხლართის, „მეზობლად“, მას პირადად აქვს განცდილი, რას ნიშნავს

საკუთარი სახლ-კარიდან იძულებით აყრა.(სოსიაშვილი,გ.2015:3). მწერალს საუბედუროდ ყოველდღე უწევს, რუსეთის მიერ ოკუპირებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის შეთვალეობა, ამიტომ მავთულხარტი საითაც არ უნდა იყვეს იგი, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში, მისთვის მაინც ტრაგიკულ სიმბოლურ დატვირთვას იტვირთავს, „თითქოს მავთულის წამახული წვერი შეესო გულის კედელს“ (სოსიაშვილის 2015წ: 10). როცა მწერალმა უცხო ქვეყნის მთის ფერდობზე მავთულხლართის ღობეს მოჰკრა თვალი.

შემდეგ ნოველაზე - „საუბარი ქართულ გენთან“ თემატური გადანაცვლებაც ლოგიკურია, ძნელბედობისაგან და განსაცდელისაგან ჩვენი ერთადერთი მხსნელი ხომ ყოველთვის ჩვენი გენი, მებრძოლი სულისკვეთება გახლდათ და წინა ორ ნოველაში გამკრთალი ისტორიული და თნამედროვეობის მწვავე ტკივილებთან შეხებამ ავტორი ხსნის გზის მიებაზე გახადა მობილიზებული, ამიტომ მწერალი ერთობ საინტერესო ხერხს მოიფიქრებს და დიალოგში შედის ქართულ გენთან, რა თქმა უნდა ეს შინაგანი მონოლოგია დიალოგის ფორმით გამოხატული თუმცა ჩანაფიქრი მეტად საინტერესოა. ამ დიალოგში კი ხაზგასმით აღინიშნება ქართული გენის მნიშვნელობა, რომელმაც მრავალ ტანჯვა-წამებას გაუძლო, ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ წელში არ გატყდა, სინამდვილეში დაუმარცხებელი აღმოჩნდა და ამის მაგალითი უკვე ფიქრებიდანვე გადატყორცნის დანიშნულების ადგილზე - ფერეიდანში... შაჰ-აბასმაც ვერაფერი დააკლო, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები აყარა და ფერეიდანში გადაასახლა, ქართული გენი ხომ მაინც არ გაქრა და ფერეიდანში დღესაც აგრძელებს არსებობას.. სწორედ ამ გენის სანახავად, ამ გენთან შესახვედრად და მოფერებისთვის მიუჩქარია მწერალს.

მორიგი ნოველა „ხილვა კიდობანში“ არარატის მთის ხილვით გამოწვეულ ფიქრებს აუშლის მწერალს და პირდაპირ ბიბლიურ სიუჟეტს გააცოცხლებინებს, ოღონდ მისეული ინტერპრეტაციით, ნოე და მისი თანამგზავრები შემოდინან მწერლის წარმოსახვაში და ნოველად ლაგდება მათი თავგადასავალი; ნოეს კიდობანით გადარჩენილი სიცოცხლე, ალბათ, სიმბოლურად ფერეიდანში გადანარჩუნებულ ძველ ქართულ სულისკვეთებასა და ზნე-ჩვეულებებთან ასოციაციას იწვევს მწერალში და მხოლოდ არარატის მთის ხილვა არ უნდა იყვეს აქ მთავარი და მწერლის საფინალო

ფრაზაც „უფალმა სიყვარული არ მოსპო, ახალი სიცოცხლე დაიწყება“ (სოსიაშვილი 2015:18). ქართული სულის ვერ მოსპობასაც გულისხმობს წიგნის სრული კონტექსტიდან გამომდინარე.

შემდგომი ნოველები უკვე მწერლის ურთიერთობასა და მის დამოკიდებულებას ასახავს ფერეიდნელ ქართველებთან ჯერ საიდ მულიანის რეალისტური სახე შემოდის ნაწარმოებში ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, რომელიც ფერეიდნელ ქართველებს ყოველთვის მხარში უდგას, მათ წერა- კითხვას ასწავლის და რომელიც მწერლის თქმით „სიკეთით სავსე თვალებით დაატარებს პატარა საქართველოს“ მწერალი სრულიად იზიარებს მისი რეალური მეგობრისა და თანამგზავრის, ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, შალვა კირთაძის შეაფასებას, რომელმაც საიდს ფერეიდნელი ქართველების ილია ჭავჭავაძე უწოდა.(სოსიაშვილის ,2015: 20).

შემდეგი ფერეიდნელი თანამემამულე ასათ ქართველია, მან დედისგან იცის მისი ქართველობის შესახებ, თუმცა საქართველო არასოდეს უნახავს. ის ოცნებობს ისტორიული სამშობლოს ხილვაზე და იმედს არ კარგავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ოცნება აუხდება. თუმცა მწერალი ამ ამბის მშრალად აღწერას რა თქმა უნდა არ დასჯერდება, იგი იმ მომენტსა და იმ სულისმიერ განცდებს აღადგენს ჯერ წარმოსახვაში და შემდეგ ნოველაში, როდესაც ასათი მისი ქართველობის ამბავს, შესაბამისად ამ შემთხვევაშიც რეალური ამბავი და მწერლის ფანტაზია, დოკუმენტური სინამდვილის დაურღვევლად შეეთვისება ერთმანეთს და კვლავ, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში ვიღებთ ორიგინალურ ნოველას, დასრულებულს.

ალბათ მხოლოდ ისტორიკოსის პროფესიული დაინტერესება არ არის ფერეიდნეში ჩასულს შაჰ-აბასის საფლავის ნახვის დიდი სურვილი რომ აქვს მწერალს, გვგონია რომ მას ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლისა და უსასტიკესი მტრის საფლავი, შინაგანად გამარჯვების სიმბოლოდაც წარმოუდგენია. სწორედ ამიტომ, ამის მინიშნებად გაიხსენებს მწერალი შაჰ-აბასის ბოლოჟამინდელ სინანულის ამოძახილს: „ორი რამ ვერ დავამარცხე, სიკვდილი და ქართველები“.(სოსიაშვილი ,2016: 28).

შემდგომ ნოველაში კი წიგნის მთავარი სიმბოლოს „ვერცხლის ყვავილების“ იდეის მომწოდებელი, ფერეიდნელი ქართველი ქალი თამარი შემოდის პერსონაჟად,

რომელიც რა თქმა უნდა ასევე რეალური პიროვნებაა და მის შესახებაც, მწერლის გამონაგონი მხოლოდ ტექსტის მხატვრული საბურველია, რაც გიორგი სოსიაშვილის წერის მანერას არაჩვეულებრივს ხდის. „ასე მგონია მზესაც თამარი ჰქვია.. შემომღიმის ოქრომნათობი გაზაფხულთან ჯვარდაწერილი... მზექალის სახელი უხდება მზეს“ – (სოსიაშვილი, 2015: 31). ბუნებრივია ეს ფრაზები რომელიც მწერლის ოსტატობის გამოხატულები საინტერესო ნიმუშებია, ერთი ათად უფრო საინტერესოდ წასაკითხს ხდის წიგნს და ამის დოკუმენტურობის ურღვევობასაც რომ ხელს არანაირად არ უშლის ესეც არ გვგონია სადაო იყოს.

თამარმა საქართველოდან ჩასულ სტუმრებს ვერცხლის ყვავილები აჩუქა, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ეს ვერცხლის ყვავილები გახდა სიმბოლო, გიორგი სოსიაშვილის წიგნის სათაურისა, რადგან მწერალმა ვერცხლის ყვავილების სიმბოლოში დაინახა „მარადიული სიყვარულის, დაუსრულებელი და-მშობის და ქართული გენის უკვდავება“ (სოსიაშვილი, 2015: 38).

ნოველის ბოლო ნაწილში უკვე თამარის გორში სტუმრობაა ასახული, გიორგი სოსიაშვილის ნოველები ხომ დროსა და სივრცეში განუწყვეტლად მოგზაურობენ და ამ ნაწილში კიდევ ერთი საინტერესო და ფერეიდანელ ქართველი ჰამლეტ აბრამიშვილის შემოჰყავს ავტორს, ესეც მახვილგონივრული გათვლაა მწერლისა, რამდენადაც ჰამლეტი 2 წლის ასაკიდან გადმოსახლებულა მშობლებთან ერთად ისტორიულ სამშობლოში და მამასადაძმე მას მწერალი ფერეიდანში ვერ შეხვდებოდა არადა ამისთანა მაგალითის გამოტოვებასაც რომ ვერ დაუშვებს ავტორი? ამიტომ, დაბრუნებულ ჰამლეტზე და გაბრუნებულ ონიკაშვილზე საინტერესო და ტრაგიკულ პარალელსაც ავლებს, რათა გვაიძულოს მეტი სიმძაფრით აღვიქვათ პრობლემა და გავიაზროთ საკუთარი როლო ამ პრობლემმასთან.

მერე დროსა და სივრცეში უკუ გასვლით ისევ ფერეიდანში გვაბრუნებს ავტორი და ქართველი „ალი-რეზას მაღაზიაში ღვინის სასმის თიხის ფიალების შექმნას დაგვასწრებს, მისთვის თიხის ფიალის ფერეიდანში დამზადებაც, კვლავ სიმბოლური დანიშნულებისაა, როგორც ერთ-ერთი თვალხილული გამოხატულება თუ როგორ გადადიოდა საუკუნეების მანძილზე შვილიდან შვილიშვილში, შვილიშვილიდან

შვილთშვილთა თაობებში ქართული სისხლი და ქართული სული, მიუხედავად დღენიადაგ ამის ყველა პირების შეზღუდვისა; აქაც აღირეზას ყოველი სიტყვა და მოქმედება დოკუმენტალურია, უფრო მეტიც, თანდათან საცნაური ხდება რომ ნაწარმოებს კიდევ ერთი თავისებურება აქვს ჩართული ნოველათა სივრცეებში, ეს ერთგვარი ინტერვიუების ფორმატია, რომელიც მანამდეც გამოკრთა და ალი რეზასთან უკვე დადასტურებულად, ერთ-ერთი ტენდენციის სახით შემოვიდა, ეს ინტერვიუები ცალკეც რომ გამოვყოთ, ფაქტიურად სრულყოფილ ინტერვიუს წარმოადგენენ (მით უფრო რომ მათი ვიდეო ჩანაწერებიც არსებობს), თუმცა ისე ოსტატურად არის ჩაშენებული ტექსტის შესაბამის ადგილზე, განსაკუთრებული დაკვირვების გარეშე ალბათ ჩვეულებრივ დიალოგად აღიქვამს მკითხველი. ნოველაში მხატვრული ნაწილი კვლავ განუყოფელია, რეალისტური თხრობის პარალელურად და ავტორის ფიქრთა მდინარება ჯერ ალი რეზას უშუალო წინაპართან გაისაუბრებს და შემდგომ ამ გასაუბრებიდან გამოტანილ დასკვნას ისევ ალი რეზას გაუმხელს ოღონდ ჯერ მხოლოდ ფიქრებით და მერე უკვე „ვერცხლის ყვავილებითაც“: „ბედნიერია შენი წინაპარი რეზო! ბედნიერია, რადგან მისი სისხლი და ხორცი, მისი ნაშიერი, მისი გენის და გვარის მატარებელი ოთხასი წლის შემდეგ ქართულად საუბრობს, ქართულ გვარს ატარებს და ასეთი გულღიმილით ხვდება საქართველოდან ჩასულ თავის თანამოდმეს“ (სოსიაშვილი, 2015: 50).

ერთ-ერთ მორიგ ფერეიდნულ ნოველაში „გზა დაუსრულებელი“, თითქოს იმ უზარმაზარ, ხრიოკ გზას მწერლალი ხელმეორედ გაივლის საუკუნეების წინათ გადასახლებულ თანამემამულეებთან ერთად და იმ ტანჯვასაც გამოატარებს გულში ამ დაუსრულებელ გზაზე სიარულისას რომ არ შორდებოდათ სამშობლოდან იძულებით მოწყვეტილ წინაპართ. მწერალს უკვირს და გაოცებას ვერ მალავს, მაინცდამაინც ეს გადახრუკული უნდბნო რატომ ამოერჩიათ ირანის შაჰებს ქართველებისთვის, მაშინ როცა ქართველს მიწა უყვარს, მიწით სულდგმულობს, მიწაა მისთვის ყველაფერი. თუ ქართველმა კაცმა მიწაზე ვაზი არ გაახარა, არ მორწყო, არ მოუარა, მის სიცოცხლეს ფასი არ ექნება, ჩათვლის, რომ ფუჭად იცხოვრა და დარდად გაყვება შთამომავლობას არაფერს ვუტოვებო. რა თქმა უნდა ირანის შაჰმა ეს კარგად იცოდა, ამიტომაც გადაასახლა უკაცრიელ ადგილზე სადაც ვაზის გახარებას ვერ შეძლებდნენ, ეგონა

ქართველ გენს გაანადგურებდა, მაგრამ ყველა მისი მცდელობა ამაო აღმოჩნდა, ქართველი სადაც არ უნდა წავიდეს ყველგან შეძლებს, გულით პატარა საქართველო ატაროს.

მწერალი არა მარტო საკუთარ ფიქრებს გარდასახავს მონოლოგებად არამედ, სულ ცდილობს თანამგზავრთა (როინ ყავრელიშვილი, საიდ მულიანი, შალვა კირთაძე) განცდებსა და ემოციებს დააკვირდეს, ფრაგმენტულად გამოხატული მათი მოსაზრებები დაიმახსოვროს და შეეცადოს მათი ფიქრების ზუსტი რეკონსტრუქცია მოახერხოს სხვადასხვა ნოველაში, ამიტომ თანამგზავრთა ფიქრების აღწერისასაც კი გიორგი სოსიაშვილი ცდილობს რეალობის ფარგლებში დარჩეს და მხოლოდ ის დაწეროს რაც ხმამაღლა გაიფიქრეს და რაც ნათქვამთა შორის, ხანდახან კი უბრალო შორისდებულად გამოხატულ ემოციათა შორის წაიკითხა მწერალმა და დანამდვილებით არის დარწმუნებული რომ სიტყვა-სიტყვით თუ არა შინაარსის ას პროცენტის დამთხვევით ასახავს თანამგზავრთა სულიერ მდგომარეობას მათი სავარაუდო ფიქრების გაცოცხლებით. გიორგი სოსიაშვილს ხომ, როგორც ჩვენს ერთ თავში გამოჩნდა ძალიან ხშირად უწონებენ ადამიანის სულიერ სამყაროში განსაკუთრებულ წვდომის უნარს.

გიორგი სოსიაშვილი არ ყოფილა შემსწრე პატრიარქის სტუმრობისა ფერეიდანში, მისი სტუმრება მწერლის და სამწუხაროდ, არ დაემთხვა ამ შესანიშნავ მოვლენას, მაგრამ მწერალმა ხომ იცის ამ სტუმრობის შესახებ და ამას როგორ გამოტოვს და წიგნში არ ჩართავს ნოველის სახით, მართალია თავად არ უნახავს მაგრამ თვითმხილველებთან შეხვედრის საშუალება ხომ მისცა ბედმა და იწერება კიდევ ნოველა „უწმინდესის სტუმრობა“. იწერება ნამდვილი ამბავის შესახებ და რა თქმა უნდა ნამდვილი ამბავი კვლავ შთმბეჭდავ მხატვრულ ქარგაში მოექცევა... მოექცევა და გიორგი სოსიაშვილი ცდილობს ჩასწვდეს პატრიარქის განცდებს, ცდილობს იგრძნოს რასაც ფერეიდნისაკენ მიმავალი უწმინდესი გრძნობდა, ცდილობს მისი ფიქრები გააცოცხლოს და ეს მცდელობა ძალიან მაღალმხატვრული ოსტატობით ისხამს ხორცს შემდეგ კი დამხვდურთა მოლოდინის განცდაზე გადადის და ჩანს რომ აქ მარტოოდენ ფანტაზიის იმედზე არ დარჩენილა მწერალი, მას კარგად ამოუკითხავს ის განცდები რომლითაც ფერეიდნელი ჩვენებურები ელოდნენ მის უწმინდესობას და მისთვის ჩვეული მაღლი

ოსტატობით გადმოიტანს ფერეიდნულ ნოველაში. საიდის თქმით: „უწმინდესის ლოცვა-კუთხევამ აქაურებზე დიდი გავლენა იქონია. დღეს თითქმის ყველა საუბრობს ქართულად. ვინც ერთ სიტყვაც კი არ იცოდა, ისიც კი ამეტყველდა ასეთი ძალა აქვს ჩვენს პარტიარქს“ (სოსიაშვილი, 2015: 7).

ნოველაში „ქართველების საფიხვნო“ აღწერილია თუ როგორ ხარობენ ფერეიდნელი ქართველები საქართველოდან ჩასული მათიანების ხილვისას „ჩონები მოსულან“ გადაეცემა ერთიდან მეორეზე და ყველა ისეთი სიხარულით მოექანება „ჩონების“ სანახავად თითქოს განძის მდებარეობის ადგილი გაიგესო. ეს დახვედრა და ეს სიხარული აბედნიერებს მწერალს და ადავსებს სურვილით წიგნად დაავანოს საკუთარი განცდანი. მწერალი და მისი თნამგზავრები გაცეხას ვერ მალავდნენ, ფერეიდნელი ქართველების სოფელი მარტყოფი, აჭრელებულია ქართული წარწერებით, წავიდნენ საქართველოდან და მოხვდნენ პატარა საქართველოში სადაც ქართული სიტყვა სიხარულს იწვევს, ქართული სახელი სიამაყეს და ქართული იერი უცხოობის მსხვრევას; ალბათ შაკ-აბასი, რომ გაცოცხლებულიყო ამის ხილვით ხელამეორედ მოკვდებოდა გაიფიქრებს მწერალი.

90 წლის ნუროლა პაპაც ერთ-ერთი მათგანია ვინც იმ იმედით ცოცხლობს, რომ ოდესღაც საქართველოში ჩავა, იხილავს სამშობლოს მზეს, რომელიც გულს გაუთბობს და ოთხას წლიან ტკივილს დაავიწყებს. მანამდე კი სიზმრებში მოეფერება სამშობლოს. მან არ დაივიწყა დედა ენა, იმიტომ რომ ქართული სისხლი უდუღს მარღვებში. მწერალს ხიბლავს მოხუცის შემართება რომ მას მიუხედავად ხანდაზმულობისა კვლავ ოცნებად აქვს და კიდევ ეიმედება, რომ სამშობლოს უთუოდ ნახავს, ამიტომ ნუროლა პაპას ფიქრებსაც ჩაულრმავდება მწერალი, მაგრამ კი არ მოიგონებს, იმ პატარა გასაუბრებიდან თუ ინტერვიუდან მოსმენილს შეავსებს და საინტერესოდ განავრცობს ნოველაში. აბა რამდენად არის მარტოოდენ რეალისტური პროზის ნიმუში ნუროლა პაპას თვალების ასე ასახვა: „სევდა ნისლივით ჩასწოლოდა ჩინწავრილ, ბისტთან თვალეში“ (სოსიაშვილი, 2015: 86), ან იმ დარდის ასე გამოხატვა, რომელიც წინაპართა სახელების დავიწყებამ მოჰგვარა მოხუცს თუა მარტოოდენ დოკუმენტური ასახვა? ან როგორ იქნება მხოლოდ დოკუმენტური როცა დოკუმენტალურობა და მხატვრული ალეგორია ერთი წინადადების მანძილშიც კი გადაუჯაჭვავს მწერალს: „თითქო ირანის

ცხელ ქარებს წაეშალა მეხსიერებიდან წინაპრების სახელები. ვინ იცის რა ერქვა იმ სვეკრულ, ბედდამხობილ კაცს...“(სოსიაშვილი, 2015: 86) .მწერალი ყოველ ნაბიჯზე ხვდება ქართულ გენს ფერეიდნელ ქართველებში დაბუდებულს და არავინ და არაფერი გამორჩება მხედველობიდან, ყველა ნიუანსს განსაკუთრებით აკვირდება და ექიმი ალი-მაჰმადის საიდ მულიანისადმი საყვედურიც ქართულია, ქართულად ალალი, თან რომ უდიმის და თან მხარზე ხელს უთათუნებს მოფერების ნიშნად, სიყვარული კი არ აკლია საიდისა მაგრამ „ჩონები რო იყვნენ რატო არ გამაგებინეო“ - მაინც საყვედურობს (სოსიაშვილის, 2015: 90).

პაპა ასლანის მიერ ვაზის გაშენების ამბავმა ისეთი ემოციით აღავსო მწერალი რომ ერთ ნოველას სულაც პაპა ასლანი ვენახი დაარქვა. ამ ნოველაშიც რეალური ამბავი მხატვრულ წარმოსახვაში გაახვია ავტორმა და პაპა ასლანს „ცხადშიც და სიზმარშიც“ ჩაჰყვა, სიზმარში კი, პაპა ასლანს უცნაური კაცი მოსვენებას არ აძლევს, სულ თან დასდევს. რომ ვერ მოიშორა მიხვდა, რომ მისი წინაპარი იყო, რომელიც თავის ქართველობას ახსენებდა. უცნაური კაცი პაპა ასლანს ვენახში დაატარებდა, სწორედ ამან გადააწყვეტინა ფერეიდანში ვაზის გაშენება და ეს ვაზი იქცა სამშობლოს სიმბოლოდ, ვაზის მეშვეობით პატარა, სიმბოლური საქართველოს ააშენა პაპა ასლანმა და ამას რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა მწერალი დაინახავდა.

ფერეიდნელი ქართველი ასაყარი კი ალბათ რაღაც საკუთარ თავსაც კი ახსენებს მწერალს, გიორგი სოსიაშვილსაც ხომ უყვარს ძველი სიტყვების მოძებნა და გაცოცხლება და ასაყარსაც ასე სცოდნია, მისი და მისნაირთა ენამოსწრებულობა საუკეთესო გამტარი და გამავრცელებელია სიტყვის მარაგისა და მწერალიც ასაყარის საშუალებით პოულობს საინტერესო და მივიწყებულ ქართულ სიტყვებს: „ხილ-ხული“, „დალონდების“, „ბიჭ-ბუჭები“, „ციცა“ და ა.შ.

შემდეგ ორ ნოველაში ისტორიული რაკურსით შემოდის ფერეიდანი და ზოგადად ირანი ნაწარმოებში, ისტორიულ მოვლენებსაც მხატვრულად გაიაზრებს მწერალი და ხან გიორგი სააკაძის ლანდს შეახვედრებს მკითხველს, ხან ალავერდი-ხან უნდილაძის სიზმარში ამოგზაურებს.

მერე კვლავ რეალურ პიროვნებათა მხატვრული ასლები ბრუნდებიან წიგნში და გადაწეული დროც ისევ თანამედროვეობაში გადმოიწევს, ხან ტარიელ ფუტკარაძის ზარს შემოჰყვება ტარიელ ფუტკარაძე პერსონაჟი, ხან საიდ მულიანის სამყაროს შემოჰყავს საიდის მეუღლე მარიამ იოსელიანი და ვაჟიშვილი ტარიელი პერსონაჟებად; საქართველოს სიყვარულით გულანთებული ფერეიდნელი ქართველებიც შემოდინ და შემოდინ პერსონაჟებად: ვანო დავითაშვილი, ზვიად კურდღელაშვილი, რეზო ბათუაშვილი, ყუყუა, ხან გელას ოცნებებს უტრიალებს მწერალი და ხან ვანო ხატიაშვილის სევდას. მოგზაურობის ბოლოსკენ კი ბედად ფერეიდნელი ქართველების ქორწილშიც მოხვდებიან მწერალი და მისი თანამგზავრები და ფერეიდანში შექმნილი კიდევ ერთი ქართული ოჯახით გაიხარებენ, თუმცა ამ სიხარულს სევდაც თან სდევს, სევდა იმ განსხვავებისა რომელსაც ქართველების ქორწილი ქართული ქორწილისგან დიდი დისტანციით გაუმიჯნავს: „უცბად გაჩნდა წარმოსახვაში რამდენიმე საუკუნის წინანდელი მათი წინაპრების ქორწილი. ყანწების ტრიალი, ქართული სადღეგრძელოები, შეზარხოშებული მაყრების ყიჟინა“ - (სოსიაშვილი, 2015: 146). გიორგი სოსიაშვილი მაინც ძალიან გახარებული და ბედის მადლობელი, რომ იქაურ ჩვენებურთა გაბედნიერების შემსწრე შეიქმნა, პრინციპში ამ ქორწილისა და ბედნიერების განწყობით წერს წიგნის დასკვნით ნაწილს.

გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილები“ დიდ მიზანს ემსახურება, ამ წიგნით მან დაგვანახა, რომ მიუხედავად გადასახლებისა, ფერეიდანში ქართველებმა თავი გაიტანეს, რომლებიც არ ივიწყებენ წინაპრებს, სამშობლოს, ქართულ მეტყველებას და რაც მთავარია დაბრუნებაზე ოცნებასა და იმედს. მათი მხრიდან ეს დიდი გმირობის ტოლფასია.

აღსანიშნავია რომ წიგნის პრეზენტაცია სწორედ გორის უნივერსიტეტში შედგა, რომელსაც ბევრი გამორჩეული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ესწრებოდა, რევაზ მიშველაზძის თქმით „ღირსების წიგნი დაიდო ლიტერატურის თაროზე“.

ასევე საინტერესოა, რომ გარდა წიგნისა, გიორგი სოსიაშვილმა ფერეიდნულ ნოველებში ასახული დოკუმენტური ამბების გადაიღო ვიდეოებად და წიგნის პარალელურად შექმნა სამოყვარულო დოკუმენტური ფილმიც, რომელმაც ასევე

მოწონება დაიმსახურა, რადგან როგორც სოსო სიგუა ამბობს: „ფილმი ეხება საქართველოს სატკივარს“, იოსებ ჭუმბურიძის თქმით კი „წუხილი საქართველოში, სწორედ ამით არის გაჯერებული წიგნი და ფილმი“

ამრიგად „ვერცხლის ყვავილებში“ და დოკუმენტურ ფილმში, ორივეგან იგრძნობა სამშობლოს სიყვარული და ტკივილი. თავად წიგნის ავტორის თქმით, ხელახლა იშვა, როგორც ქართველი ხოლო, წიგნი დარჩება ფერეიდნელთა სადღეგრძელოდ. „ვერცხლის ყვავილები“ სულ 29 თავისგან შედგება და როგორც ჩვენს კვლევაშიც გამოიკვეთა, თითოეული თავი არის ძალიან საინტერესო ინდივიდუალური შინაარშის ნოველა, თანაბარზომიერად აგებული როგორც მწერლის ფანტაზიაზე ისე დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, წიგნის დოკუმენტურ ღირებულებას კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს ავტორის მიერვე გადაღებული ვიდეო მასალა, რომელიც ხან იმ პეიზაჟს ასახავს რომელსაც მწერალი ხატოვნად აღგვიწერს, ხან იმ ადგილს რომელმაც ესა თუ-ის ისტორიული გადახვევა უკარნახა, ხან ინტერვიუებს წარმოადგენს ფერეიდნელ ქართველებთან და აწ უკვე წიგნის პერსონაჟებთან და რა თქმა უნდა უდიდესი ფუფუნებაა ნამდვილი მკითხველისთვის როცა მას აქვს საშუალება, პერსონაჟთა გალერეა მხოლოდ კი არ წარმოიდგინოს არამედ ნახოს და დაათვალიეროს კიდევ. მიუხედავად ესეთი მკვეთრი დოკუმენტალობისა, ჩვენთვის წიგნი უპირველეს ყოვლისა მხატვრული შემოქმედების ნაყოფია, რამდენადაც რომ არა მწერლის მხატვრული ოსტატობა, მშრალი ფაქტების მშრალად თხრობა, არ იქნებოდა ესოდენ გულში ჩამწვდომი და საინტერესო და ვერც წიგნის მნიშვნელობას განსაზღვრავდა ისე, როგორადაც ის არის ამჟამად წარმოდგენილი. დასასრულისთვის შევავსებთ ჩვენს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს როდესაც ნაწარმოებს განვიხილავდით ასევე სამოგზაურო დღიურის ფორმატში და დავძენთ რომ ჩვენ მართალია კვლავ ვართ დარწმუნებულნი რომ წიგნს წინამორბედი ეყოლებოდა დღიურის სახის ჩანაწერების სახით, თუმცა ასეც რო არ იყოს ის ვიდეო ფაილები რომელიც სამოყვარულო დოკუმენტურ ფილმად შეკრა ავტორმა, ასევე წარმოადგენენ ვიდეო დღიურების ვერსიას რაც თანხვედრაშია ჩვენი მსჯელობის მიმართულებასთან.

## თავი IV. ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა „თეთრი ქალაქის“ მიხედვით

პრინციპში ამ თავის დასაწყისშივე, ვფიქრობთ ვალდებული ვართ და უნდა აღვნიშნოთ კიდევ რომ ყველა ზოგადი შეფასება რაც ჩვენს მიერ იქნა გაკეთებული „ვერცხლის ყვავილების“ როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოების და მასში შემავალი ნოველებს თაობაზე, პრაქტიკულად ასევე იდეალურად არის მისადაგებული „თეთრი ქალაქის“ ზოგად ფორმატზე, არქიტექტონიკაზე, სულისკვეთებასა და მხატვრული შესრულების მანერაზე. გასაკვირი ეს არ უნდა იყვეს რამდენადაც, საუბარი გვაქვს ერთი ავტორის მიერ შექმნილ იდენტური ტიპის ორ ნაწარმოებზე რომელთაც მართალია შინაარსი განასხვავებთ მაგრამ აერთიანებთ ყველაფერი დანარჩენი, რასაც შინაარსის გარდა ითვალისწინებს ხოლმე ლიტერატურული ნამუშევარი.

წიგნში „თეთრი ქალაქი“ ავტორის წმინდა მიწაზე მოზაურობის განცდები და ემოციებია აღწერილი ისევე როგორც „ვერცხლის ყვავილებში“ ფერეიდანში მოგზაურობისა. მწერისთვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობა ამ შემთხვევაშიც შესანიშნავად არის გამოკვეთილი და რეალური ამბები მოგზაურობენ ფანტაზიისა და მხატვრული რემინისცენციების თანხლებით. თუ ფერეიდანში ისტორიული ადგილები იწვევდა ისტორიული გადახვევებისა და შესაბამისად ისტორიული ნოველების შექმნის პროვოცირებას, რაც შემდგომ თავისთავად იწვევდა დროის გარდამავლობის საინტერესო მონაცვლეობასაც, „თეთრი ქალაქის“ შემთხვევაში ძველი და ახალი აღთქმის ამბების მწერლისეული გააზრება ჩაანაცვლებს ისტორიულ რაკურსს. ყოველივე ეს კი კვლავ სრულიად რეალური და თანამედროვე ამბების ფონზე ხდება.

ამ მოგზაურობაშიც ოთხი თანამგზავრი ჰყავს, მწერალს, ოღონდ სულ სხვა ოთხეულია ამჯერად მასთან ერთად, თუმცა ეს ხელს არ უშლის ავტორს მათ ფიქრებსაც ჩაუღრმავდეს მათ ემოციებსაც დააკვირდეს და დრო და ადრო ისე ხატოს თითოეულის შინაგანი სამყარო, მწერალი თითქოს ხელმეორედ გაივლის ვერცხლის ყვავილების გზას და ძველი გამოცდილების მიხედვით ჰქმნის ახალს. ჩვენი აზრით არა მარტო წიგნი და მასში არსებული ნოველებია ცალ -ცალკე და ერთიანი, არამედ ეს ორი წიგნიც კი,

რალაცნაირად ორტომეულად წარმოგვიდგება, მეტად განსხვავებულად ერთმანეთისგან და ამავდროულად მჭიდროდ დაკავშირებულადაც.

თამარ გელიტაშვილის შეფასებით „თეთრი ქალაქი“ ქართველთა და ებრაელთა ძმობისა და მეგობრობის სადიდებელი ჰიმნიცაა... „მასში შესულ ყოველ თავსა თუ ქვეთავს თავისი აზრობრივი დატვირთვა აქვს. თითოეული მათგანი დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია, საერთო ჯამში კი ერთი მთლიანი მოზაიკა იქმნება... „თეთრი ქალაქი“ წუხილია ჩვენი წარსულის, კულტურული რეგრესის, დეკადენდიზმის გამო. ის, რაც ისტორიას ჩაბარდა, რაც სამუდამოდ დაკვარგეთ, წიგნის ავტორის ოცნებებში ისხამს ფრთებს“ (სოსიაშვილი, 2016 :6).

ამჯერად წიგნის ოთხი პოტაგონისტი და მწერლის თანამგზავრები არიან: გორის უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ელდარ მამისთვალიშვილი „რომელიც იერუსალიმიდან წამოსული ხალხის მეისტორიე გახდა“. (სოსიაშვილი ,2016 :10).

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის დირექტორი, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, პროფესორი გივი ღამბაშიძე, რომელმაც, მწერლის თქმით „კავკასიელი ხალხების ძმობა -მეგობრობას მიუძღვნა თავისი შეგნებული ცხოვრება“(სოსიაშვილი, 2016 :11).

გორის უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით ჩოჩიშვილი, რომელის რეპლიკის ტიპის დახასიათებას ასე ჩამოაყალიბებს მწერალი „იგი სადაც არ უნდა იყვეს შინ და გარეთ, ყველგან შვილზე ფიქრობს, მისი ფიქრები მხოლოდ დაჩის ეკუთვნის“(სოსიაშვილი, 2016 :12).

იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი ებრაელი გერმონ წიწუაშვილი, რომელიც „წმინდა მიწის მადლითა და ქართული სიზმრებით ცხოვრობს“(სოსიაშვილი, 2016 :12).

ამდაგვარად დაახასიათა პირველ თავში ავტორმა თანამგზავრები, ორიოდ სიტყვით, რამდენიმე მოკლე და მეტყველი რეპლიკით, ისეთით ყველაზე უკეთ რომ გაუხსნიათ პროტაგონისტთა სამყაროს მკითხველს.

მწერლისთვის, შემოქმედისთვის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსაცდელი შთაგონების წყაროს დაშრობაა, ამ დროს მწერალი მძიმე სულიერ ტკივილს განიცდის, რომელსაც სურს შექმნას, მაგრამ რაღაც აყოვნებს, რაღაც არ უწყობს ხელს რომ შეძლოს, სათქმელზე თავის მობმა მწერალს როგორ გაუჭირდება, მაგრამ ასეც შეიძლება მოხდეს. მწერლისთვის ეს ყველაფერი სამყაროს დასასრულივით აღიქმება, რამდენადაც, შემოქმედებითი სამყაროც სამყაროა, სწორედ ამ განცდას ასახვავს მწერალი შემდგომ თავში, რომლისთვისაც „შიში“ დაურქმევია. ეს თავი ზუსტად აღწერს მწერლის სულიერ განცდებს, რომელიც წერას ვერ ახერხებს „თეთრი ქალაქის“ ამბები ფურცელზე გადაიტანოს, აქ სხვა პასუხისმგებლობა აწევს მას, რამდენადაც წმინდა ქალაქს, წმინდა ადგილებს, ბიბლიურ სიუჟეტებს და სულიერებას უნდა შეეხოს გარდაუვლად, ეს კი იმხელა პასუხისმგებლობაა რომ იმ თავს სადაც ამ პასუხისმგებლობას აღწერ „შიშის“ გარდა ვერაფერს დაარქმევ. იმის გამო, რომ ამ ქვეთავში, გიორგი სოსიაშვილი მწერლის ლაბორატორიაში საკმაოდ ღრმად შემოახედებს მკითხველს, აქტიურად იყენებს დროისა და სივრცის თუ რეალურისა და გამოგონილის მონაცვლეობას (ისევე როგორც „ვერცხლის ყვავილებში“), ასევე წიგნის მოზაიკური არქიტექტონიკის გათვალისწინებით, ჩვენ ვასკვნით რომ „თეთრი ქალაქი“ შეიცავს პოსტმოდერნისტულ ელემენტებს, რაც მიუხედავად იმისა, რომ გიორგი სოსიაშვილი თანამედროვე მწერალია და პოსტმოდერნიზმის თანამედროვეობის ერთ-ერთ მოდური მიმდინარეობას წარმოადგენს, იგი გიორგი სოსიაშვილთან ამდაგვარი სიმკვეთრით სხვა ნაწაროებში არ გამოკვეთილა.

ქართულ რუსული კონფლიქტის თემა „ვერცხლის ყვავილებშიც“ მყისიერად შემოვიდა და „თეთრ ქალაქშიც“, თურქეთში დანახულმა მავთულხლართმა დარდიანი ფიქრები აუშალა მწერალს, მაგრამ ეს ის დარდიანი ფიქრებია, რომელიც სწორედ იმიტომ გამოიშლება ყველგან სადაც არ უნდა იყვეს მწერალი, რომ ეს დარდი მისი განუყოფელი ნაწილია. წარმოსახვაში აღადგენს ომისდროინდელ რეალობას ნამდვილ ისტორიებს მოთხრობის მდინარეებს დაუმორჩილებს. მერე რა, რომ იერუსალიმში არ

დაუნახავს მავთულხლართი გიორგი სოსიაშვილს, აქ იმ ამბავს გაიხსენებს - მის თანამგზავრ ელდარ მამისთვალიშვილს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას გორი რომ წამით არ დაუტოვებია და საკუთარ ფიქრებსა და ელდარ მამისთვალიშვილისგან ამოცნობილ ფიქრებს მისებურად ჩააქსოვს ერთმანეთთან, ამდაგვარად შექმნის საერთო სევდას და გამოიტანს მკითხველის წინაშე.

ამ ძნელბედობის ჟამის გახსენების მერე ყველაზე დიდი იმედი ჩვენივე წინაპრების მაგალითია და მწერალიც ზუსტად ამ თემაზე გადაინაცვლებს, თანაც გადაინაცვლებაც საოცრად ლოგიკურია, უფრო სწორედ, ფაქტებსა და გარემოებებს ლოგიკურად განსაზღვრავს და ალაგებს მწერალი. თუ მის პირველ თანამგზავრს მშობლიური ქალაქი არ დაუტოვებია ომის დროს, მის მეორე თანამგზავრს გივი ღამბაშიძეს მისიად ერგო დაკარგული მეფეების ძვლები მოეძებნა და გაეპატიოსნებინა, წინაპართა პატივის მისაგებად კი უკეთესი კონცენტრაციის წერტილი რა უნდა მწერალს და უკვე გივი ღამბაშიძის განცდების თნაზიარი ავტორი მოგვევლინება „თეთრი ქალაქის“ ერთ-ერთი თვში - „შთამომავალი“.

წინაპრების შემდგომ მომავალ თაობაზე ფიქრი მოიცავს მწერალს, მისი მესამე თანამგზავრი ხომ ახლახანს მამა გახდა და აი ლოგიკური გადასვლაც, თითქოს წინასწარ შეურჩიეს მოთხრობისთვის თანამგზავრები მწერალს მაგრამ, მთავარი აქ მწერლის ხედვაა მან შეძლო და სწორად განალაგა პროტაგონისტები, თუ არა სხვა ათვლის წერტილს მოიძიებდა, ზემოთ აღნიშნულის არ იყოს, რადგან იერუსალიმში მავთულხლართი ვერ დაინახა, მიზეზს, მთავარი ტკივილის პირველ ყოვლისა შემოსატანად საკუთარ წიგნში ვერ მიაგნო თუ?

ბავშვებთან, მომავალ თაობაზე ფიქრთან მოტრიალე მწერალი მწერალი, ბარემ, გერშონის ბავშვობის მისეულ რეკონსტრუქციასაც მოახდენს და მონატრებული სამშობლოს სევდას ჩააქსოვს ამ ნოველას, რადგან ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორც ეგზიუპერი იტყოდა და გერშონიც არის კაცი, მისივე ბავშვობიდან, ბავშვობიდან, რომელსაც ლიახვის ხმაური ახლავს და რომელიც არსად წასულა. და ამ თავში დიდი და პატარა გერშონი ერთდროულად არიან მთავარი

გმირები, ერთი საქართველოშია, მეორე იერუსალიმში, მაგრამ ის მაინც ერთია, ოღონდ, ორი უსაყვარლესი სამშობლოთი.

რადაცით მაინც წააგავს „ვერცხლის ყვავილებში“ ასახული განცდა სამშობლოს მოწყვეტილი ფერეიდნელებისა, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ებრაელების სევდას, მართალია ჩვენებური ებრაელები ისტორიულ ფესვებს დაუბრუნდნენ და დიდი ხნის ნანატრი ოცნება აისრულეს, მაგრამ მეორე სამშობლოს დატოვების სევდაც ახლავს მათ სიხარულს, ახლავს და მათ თვალებში ხედავს მწერალი ამ სევდასა და სიყვარულს. ალბათ ფერეიდნელი ქართველებიც რომ დაუბრუნდებიან საკუთარ ფესვებს, ამდენი წლის ცხოვრების მერე უკვე მათაც გამოჰყვებათ პატარა სევდა იქაური მარტყოფისა და იქაური ნაჩვევი გარემოსი. ვხვდებით რომ პარალელები არც ზუსტია და თან რაღაცნაირად ფეხშექცევითიც მაგრამ, მაინც გვგონია რომ განცდების რაღაცა ნაწილი ნამდვილად ჩამოჰგავს ერთმანეთს. ამიტომ ის რა სიყვარულსაც ფერეიდნელი ქართველების მზერიდან და სიტყვიდან იღებდა წერალი ამჯერად ქართველ-ებრაელთაგან იღებს: „თითქო პატარა საქართველო დამახვედრეთ ბათმიში. ისე შეგინახავთ თქვენი წილი ქართველობა, ისეთი ცეცხლი გინთიათ თვალებში, თქვენ დანახვაზე არ შეიძლება, ცრემლი არ მოგადგეს კაცს“ (სოსიაშვილი, 2016: 75). წერს მწერალი და აქაც შემოჰყავს საინტერესო რეალური პერსონაჟები საკუთარი სამყაროებით: შალვა წიწუაშვილი, ფირუზ ჯანაშვილი, ნუგზარ ჯანაშვილი, ანრი ცოციაშვილი, მიხეილ შაფთოშვილი, მერი ელიშაყოვი თუ შალვა მამისთვალიშვილი.

მერე ჯვრის მონასტერს მოინახულებს ავტორი და რა თქმა უნდა ნოველით შეაზავებს მონასტრის ხილვის სიხარულსაც, იმასაც კი დაინახავს როგორ შენდებოდა და იზრდებოდა ჩვენი წანაპართა ნაგები მონასტრის კედელი. წმინდა მარიამის სახლის ხილვისას, ეზოს მოათვალიერებს და იქ მორბენალ და მოთამაშე მარიამის ამბავს დაინახავს, დიახ, დაინახავს და არა შეთხზავს, რადგან შეთხზვა სხვაგანაც შეიძლება, ასეთ ადგილზე კი მწერალი პირდაპირ ხედავ იმ სიუჟეტს რომელიც შემდეგ წიგნში უნდა გადმოვიდეს: „აღმართს მიუყვება სპეტაკი იერ სახის კაცი და ისევ ჩაესმის ანგელოზის ფრთების ხმა. ჩურჩულიც ჩაესმის. „ხედავ“? შედგა თეთრ ანაფორიანი და ზეთისხილის ხესთან მოთამაშე ბავშვები შეათვალმზერა, მაგრამ ხორციელმა ბავშვმა თითქო თვალის ჩინი წაართვა უხორცო არსებას“ (სოსიაშვილი, 2016: 121) - ეს ციტატა,

რომელიც, ჩვენი აზრით, სიტყვის ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშია, აღწერს სიუჟეტს თუ როგორ შეირჩა ჯერ კიდევ ბავშვი წმინდა მარიამი ღვთისშობლად, თუმცა ამ რამდენიმე წინადადებაში ხაზგასმით გამოყენებული სიტყვა „ხედავ“ და დანახვის გამომხატველი მეორე სიტყვა შეთვალმზერება, ჩვენთვის კიდევ ერთხელ არის იმის მიმანიშნებელი რომ მწერალს ეს სიუჟეტი გონების თვალის დახმარებით, წარმოსახვის მაღალი შესაძლებლობით სწორედაც უხილავს წმინდა ქალაქში. „ვისაც მიწის ალღო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოერღვა და კუნთებიც მოეშალა. ხოლო უძვლო და უსისხლო სხეული უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღო ხელოვნებისთვის და ხალხისთვისაც უებარი დუღაბია - მათი სხეულისა და სულის გამფოლადებელი“ (ჯავახიშვილი, 1980: 45). წერს მიხეილ ჯავახიშვილი და ამის შესახებ ჩვენც იმიტომ ვსაუბრობთ განსაკუთრებული ინტერესით, რომ გიორგი სოსიაშვილის ამ წიგნებში, რეალური ამბების გვერდით საოცრად რეალურად და დამაჯერებლად გამოიყურება ის პასაჟებიც რომელსაც მწერალი ფიზიკურად ვერ ნახავდა, ბიბლიური სიუჟეტი იქნება ეს, ისტორიული მოვლენა თუ სხვისი სიზმარი. ასეთი მაღალი ხარისხის დამაჯერებლობის შექმნას, როცა გამონაგონი რეალური ამბავის მკვეთრი ცვალებადობის გარეშე შეერწყას უნდა ჰქონდეს მისი წარმომავლობა, ეს წარმომავლობა კი სწორედ იმაში მდგომარეობს რომ ჯერ მწერალმა გაითავისოს საკუთარი შეთხზული სიუჟეტი, მერე დაინახოს და დაიჯეროს კიდევ, სხვანაირად ის ვერ იქნება ამდენად დამაჯერებელი, ამიტომ ემჩნევა გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ გამონაგონს რომ ის მწერალმა დაიჯერა უპირველეს ყოვლისა. „ადამიანის ინდივიდუალობას და განუმეორებლობას არაფერი არ ახასიათებს ისე აშკარად, როგორც მისი გრძნობები“ (ქიქოძე, 1985: 38) - ამბობს გერონტი ქიქოძე.

მორიგ თავებში „ბარაბა“ და „ვია დოლოროსა“ ძალიან საინტერესოდ და ძალიან მისეულად გააცოცხლებს ბიბლიურ სიუჟეტებს მწერალი, მართლაც რომ გააცოცხლებ და გრძნობ როგორ განიცდის გოლგოთის გზის სიმძიმეს, როგორ ინაწილებს მის წილ პასუხისმგებლობას როგორც ადამიანი და როგორ გაიძულებს მკითხველსაც იფიქრო ქრისტესმიერ სიყვარულზე და შენ წილ პასუხისმგებლობაზე ცხოვრების წინაშე: „მიდიხარ და თანდათან გეცლება ძალ-ღონე. ცოტაც და ნაბიჯის გადამდგმელიც აღარ იქნები. აქვე სადღაც დაეცემი და სულს განუტევებ. ამით დასრულდება შენი

გოლგოთის აღმართი. შედგები, თითქო ჯვარს ევედრები, რო გამსუბუქდეს, ჯვარი კი ისე დამძიმებულა, იტყვი, ყოველ ნაბიჯზე ემატება წონა. მიმძიდება და მიმძიდება...“ (სოსიაშვილი, 2016: 138). მოგვიანებით კი იმავე თავში დაწერს მწერალი „ ჩვენც გვაქვს ჩვენი წილი ადამიანური ბეთლემი... ჩვენი გოლგოთა, ჩვენი ვია დოლოროსა რა მოსატანია იმ ენით უთქმელ წამებასთან, რაც იესომ განიცადა... გოლგოთის აღმართზე ამოსისინებული თელხი თეთრ მტვერს ეხვეტება მიწიდან და თვალეში გვაყრის“ (სოსიაშვილი, 2016: 138) აქ თვალეში შეყრილი მტვერიც ორმაგი სიმბოლური დატვირთვით უნდა ჰქონდეს გამოყენებული მწერალს, ერთს ნაწილობრივ, მინიშნებით გახსნის კიდევ მომდევნო აბზაცში, რომ იესოს მდევნელებმა ეს გზა დაბრმავებულებმა აიარეს, ხოლო მეორე სიმბოლური დაშიფვრა შედარებაა - რომ ჩვენი გოლგოთა, ჩვენი ვია დოლოროსა, იესოს ვიადოლოროსას გზის მტვერია მხოლოდ, თუმცა კი, ამ მტვერსაც თვის გართმევა სჭირდება.

„ვერცხლის ყვავილებს“ თუ ქართველების ქორწილით დაასრულებს მწერალი, „თეთრ ქალაქს“ ფინალს ბეთლემის მონახულების მხატვრულ დოკუმენტურ ამბავში განახორციელებს. აქაც ხან თანამგზავრებთან ერთად იმყოფება მწერალი ხან გაუჩინარდება მათგან და ქრისტეს შობის სიხარულს თანამედროვედ შეეხიზნება: „წამები დარჩა და იმედი გაჩნდება, სიცოცხლის წყარო აჩუხჩუხდება ბეთლემის გამოქვაბულში. სამყაროს შემოქმედიც გარინდებულა საყვარელი ძის გაჩენის მოლოდინში. ცხვრისა და საქონლის სუნს ვეღარ გრძნობს მზემარიამი, ვერც გამოქვაბულში არსებულ სიბინძურეს ამჩნევს, ის დედათა შორის უპირველესი უნდა გახდეს. მარადის ქალწული მარიამის ღვთისმშობლად ქცევის წამებია“ (სოსიაშვილი, 2016 :184).

ამგვარად, ეს წიგნიც ასახავს მწერლის სულიერ განცდებს, რომელიც მას იერუსალიმში მოგზაურობის დროს ეუფლება. აქ მას დოკუმენტური ფილმი არ გადაუღია თუმცა წიგნის ბოლო ნაწილი ამ მოგზაურობის დოკუმენტური ფოტომატეანეა, სადაც ყველა ადგილი, სიუჟეტი თუ პერსონაჟი სურათზე აღუბეჭდავს ავტორს. „თეთრი ქალაქი“ სულ 24 თავისგან შედგება და როგორც „ვერცხლის ყვავილების“ შესახებაც აღვნიშნავდით, აქაც თითოეული თავი არის ინდივიდუალური შინაარშის ნოველაც და კვლავ თანაბარზომიერად აგებული მწერლის ფანტაზიასა და

დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით. ამ წიგნის შემთხვევაშიც, ვთვლით, რომ მისი პირველი რანგის ღირებულება არის მაღალმხატვრულობა და მხოლოდ შემდგომ ამბავი, რამდენადაც იერუსალიმის შესახებ მშრალი ინფორმაციის მოძიება დაინტერესებულ ადამიანს არ გაუჭირდება, თუმცა, გიორგი სოსიაშვილის აღწერილი იერუსალიმიც და ქართველი ებრაელობაც სხვანაირად სწრაფად ხდება მახლობელი მკითხველისთვის.

## დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა ნოველების კრებული როგორც თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი ქალაქის“ მიხედვით, ჩვენ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ საკითხის შესწავლის ისტორია, ასევე მოგვეძიებინა ინფორმაცია მსგავსი ჟანრის ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა იყო მიგვეჩნია ლიტერატურულ წინამორბედებად გიორგი სოსიაშვილის დასახელებული ნაწარმოებებისათვის. თუმცა საინტერესოა აღინიშნოს რომ ამ წიგნების განსაზღვრა ჟანრობრივად, არ წარმოადგენს მარტივ საკითხს; მკვლევარი გიორგი ხორბალაძე, რომელიც „ვერცხლის ყვავილების“ რედაქტორია, წიგნს განიხილავს როგორც დოკუმენტური პროზის ნიმუშს, თუმცა შემდგომ განავრცობს რომ ნაწარმოები ამასთანავე არის „მემუარული ჟანრის, მხატვრულ-ისტორიულ-დოკუმენტური ნოველების საინტერესო შერწყმა“ (სოსიაშვილი, 2015: 3), ხოლო, თამარ გელიტაშვილი რომელიც „თეთრი ქალაქის“ რედაქტორი გახლავთ, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად მოიაზრებს ნაწარმოებს და იქვე დასძენს რომ, „წიგნში რამდენიმე ჟანრი ერწყმის ერთმანეთს“... და იგი „პოლიჟანრული ნაწარმოების დასრულებული სახეა“ (სოსიაშვილი, 2016: 3), ამდენად, ჩვენი განსაზღვრებაც ბუნებრივია ვერ იქნება ამომწურავი, მით უმეტეს რომ ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში, რენე უოლკი და ოსტინ უორენი ასეთნაირად სვამენ საკითხს:

„ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველი ნაწარმოები რომელიმე განსაზღვრულ ჟანრს ეკუთვნის? რამდენადაც ვიცით, ეს პრობლემა არ წამოჭრილა არც ერთ დისკუსიაში. ჩვენ რომ გვევალეობოდეს პასუხის გაცემა ბუნებრივია სამყაროს წეს-კანონთა ანალოგიურად, ცხადია, დადებით პასუხს გავცემდით, რადგან ადგილი ყველას მოეძებნება - გინდ ვეშაპი იყოს და გინდ - ღამურა; ამავე დროს, ჩვენ ვაღიარებთ იმ არსებობას, რომლებიც ჩაითვლებიან ერთი სამყაროდან მეორეში გარდამავალ ელემენტებად. ამიტომ საკითხი სხვაგვარად უნდა დავსვათ, ანუ კიდევ უფრო უნდა დავაკონკრეტოთ ჩვენი კითხვა: შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ყოველი

ნაწარმოები საკმაოდ ახლო ლიტერატურულ კავშირშია სხვა ნაწარმოებთან? იმდენად ახლოს, რომ მის შესწავლას ეხმარება სხვა ნაწარმოებთა კვლევა? და თუ ასეა, როგორ განსაზღვრავს „ჩანაფიქრი“ ჟანრს? მიეკუთვნება თუ არა ინიციატივა ნოვატორებს? ან, იქნებ, ის ვეტერანთა მხრივ მომდინარეობს? განსაზღვრულია თუ არა ჟანრები ერთხელ და სამუდამოდ? ვფიქრობთ, რომ არა. ახალი ნაწარმოებები აფართოებენ ჟანრის საზღვრებს. (უელკი, უორენი, 2010: 330-331) .

ასე მიმოიხილავენ საკითხს ლიტერატურის მკვლევარები და ჩვენც, ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თქთრი ქალაქის“ შემთხვევაში საქმე გვაქვს სწორედ იმდაგვარ ახალ ნაწარმოებთან რომელსაც ჟანრის საზღვრების გაფართოება ძალუძს. რა გვამლევს ამის თქმის საშუალებას? ჩვენ შევვხებით ამ ნაწარმოებების ჟანრული განსაზღვრების არაერთ შეფასებას, მემუარული, სათავგადასავლო, სამოგზაურო, დოკუმენტური, რეალისტური, ისტორიული, ასევე თავად დავამატეთ დღიურის განსაზღვრებაც და სინამდვილეში ვერ ამოვწურეთ და ვერ ჩავტიეთ ვერც ერთ მათგანში; ასევე პარადოქსულია, მაგრამ ალბათ არც ერთი დოკუმენტური პროზა (როგორადაც ამ ორ წიგნს აფასებენ უმეტესად), არ შეიცავს იმდენ ფანტასმაგორიულ ელემენტს, რამდენსაც გიორგი სოსიაშვილის ეს წიგნები და მაინც, ძირითადად, სწორედ დოკუმენტურ პროზად უნდა მივიჩნიოთ ორივე მათგანი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რამდენად საინტერესო ნაწარმოებები იქნა ჩვენს მიერ შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ისინი განვიხილეთ განსხვავებულ კონტექსტში, როგორც ნოველების კრებული და ამავდროულად, თანამედროვე დოკუმენტური სამოგზაურო პროზა, რაც სრულიად ორიგინალურად წარმოაჩენს ორივე ნაწარმოებს.

ჩვენი ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, ოთხ ძირითად თავს და დასკვნას, ხოლო, ბოლოს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. პირველ თავში, რომელსაც შესავალი წარმოადგენს საუბარია, საკითხის მნიშვნელობისა და საკვლევი თემის შერჩევის ჩვენეული პრინციპების შესახებ. მეორე თავში მიმოხილულია საკითხის

კვლევის ისტორია და მოძიებულია ყველა ძირითადი წინამორბედი კვლევა რომელიც ჩვენი კვლევისთვის აღმოჩნდა საინტერესო. მესამე თავში განხილულია დოკუმენტური სამოგზაურო ჟანრის საწყისები და გიორგი სოსიაშვილის „ვერცხლის ყვავილებისა“ და „თეთრი ქალაქის“ მიმართება ჟანრის ტრადიციებთან. მეოთხე და მეხუთე თავებში განხილულია უშუალოდ ნაწარმოებები და მათი ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი კონტექსტები, მეოთხე თავი ეთმობა „ვერცხლის ყვავილების“ ხოლო მეხუთე თავი მოიცავს „თეთრი ქალაქის“ კვლევას, როგორც ინდივიდუალური ნოველებისა და წიგნის ერთიანი ქარგის შემადგენელი ნაწილების დანიშნულებას თანამედროვე სამოგზაურო დოკუმენტურ პროზაში. ნაშრომი შედგება 47 გვერდისაგან.

## ლიტერატურა

1. გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი 2008 წ.
2. ზარდალიშვილი გ. „გამოჩენილი ქართველი მოგზაურები“, თბილისი, 1958წ.
3. მენაბდე დ.; II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები., ნაწილი II., “ქართული სამოგზაურო ლიტერატურა ქართულ-რუსულ ურთიერთობათა კონტექსტში “თბილისი 2009წ.
4. მიშველაძე რ., სჯანი კულტურასა და პოლიტიკაზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017წ.
5. რუისის მიტროპოლიტი „მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, თბილისი , 1852წ.
6. სოსიაშვილის გ ., ვერცხლის ყვავილები(ფერეიდნული ნოველები) ,თბილისი, 2015წ.
7. სოსიაშვილის გ ., „თეთრი ქალაქი“ ,თბილისი, 2016წ.
8. სოსიაშვილი გ., „გამორთული მთვარე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016წ.
9. სოსიაშვილი გ., „მავთულხლართი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015წელი
10. ტურაშვილი დ., „ამერიკული ზღაპრები , თბილისი 2010წ.
11. ქიქოძე გ., წერილები ესეები ნარკვევები, „მერანი“, თბილისი - 1985წ.
12. ხარაძე, კ ., „XVII-XVIII საუკუნის ქართველი მოგზაურები“, თბილისი, 1987წ.
13. ხარაძე კ; ჯავახიშვილი შ; ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი, (ენციკლოპედიური ცნობარი) ,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი, „განათლება“ თბილისი 2003წელი.
14. ხორბალაძე გ., მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით), ჟურნალი „გულანი“, №17/2015, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, საქართველო.
15. ხორბალაძე გ., ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით (შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში”, თბილისი, 2017 წ.

16. ხორბალაძე გ., რაკურსი( ლიტერატურული ნარკვევები) ,თბილისი, 2018წ.

17. ჯავახიშვილი მ., წერილები, თხზულებანი, ტ. VI, “საბჭოთა საქართველო“, თბილისი - 1981წ.

18. XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები (ანთოლოგია) .,თბილისი,2012წ.

19. მწერლის გაზეთი, 2016წ.№5.

20. მწერლის გაზეთი, 2017წ. №1

21. მწერლის გაზეთი, , 2017წ.№2

22. მწერლის გაზეთი, , 2017წ.№5

23. უელეკი რ; უორენი ო; ლიტერატურის თეორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბილისი 2010წ.

24. But see C. E. Whitmore, ‘The Validity of Literary Definitions’,

*PMLA*, xxxix (1924), pp. 722-36, especially pp. 734-5

25. <http://files.gu.edu.ge:81/gs/page-27.html>- უკანასკნელად გადამოწმებული 25.06.2019წ.